საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეტი სიფცვაა, ფაფიოებით და ჭიერებით ბეტონის გაფანა ყვეოა ეკადრისიბაზე ესაძაგლესია.

ხუთშაბათი, 14 ივნისი. 2018 წ. №123 (8524), | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ბიძინა ივანიშვილის მორიგი პოლიტიკური სვლა



ურემი გადაბრუნდა, გზა მალე გამოჩნდება!

გუშინ პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადადგომის შედეგად, მთავრობა სრული შემადგენლობით გადამდგარია. საქართველოს კონსტიტუციის გათვალისწინებით, პრემიერ-მინისტრის გადადგომა ან მისი უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტა მთავრობის სხვა წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტას იწვევს.

კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტმა შვიდი დღის ვადაში, პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად საპარლამენტო უმრავლესობის მიერ შერჩეული კანდიდატი უნდა წარადგინოს, ხოლო თავის მხრივ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი ასევე შვიდი დღის ვადაში შეარჩევს მინისტრთა კანდიდატურებს და პარლამენტს მთავრობის შემადგენლობას ნდობის მისაღებად წარუდგენს.

პარლამენტი მთავრობის შემადგენლობის წარდგენიდან შვიდი დღის ვადაში განიხილავს და კენჭს უყრის ნდობის გამოცხადების საკითხს. მთავრობის შემადგენლობასთან ერთად პარლამენტს დასამტკიცებლად სამთავრობო პროგრამაც წარედგინება.

მთავრობის ახალი შემადგენლობის შექმნამდე, ძველ შემადგენლობას მოვალეობის შესრულება ეკისრება.

პრემიერი კვირიკაშვილი გადადგა!

მოსახდენი მოხდა...

6 ივნისს „საქართველოს რესპუბლიკაში“ ვწერდი და, ამონარიდს აქვე „მოგართმევთ“, რომ მავანის „ხოშზე“ ასეთი ნაბიჯები არ გადაიდგმება...

ვწერდი და ხაზგასმით ვიმეორებ: მხოლოდ საქვეყნო ინტერესების და კონცეპტუალური მოსაზრებების გამო გადაიდგმება კვირიკაშვილის ნაბიჯი. თავად განსაჯეთ:

„...პოლიტიკური რეალობის ლოგიკა იმას გვეუბნება, რომ კვირიკაშვილი ამ ვითარებაში შესაძლოა და, ალბათ, გადადგება კიდეც, მაგრამ ამ ნაბიჯს ვერ(!) და არ(!) გააკეთებს ასეთი ბრიყვული მოტივაციით; არც იმიტომ, რომ „დავითაიებს და კომპანიას“, ასევე, მავანის კმაყოფაზე მყოფ ექსპერტს, რედაქტორს თუ „პოლიტიკანებს“ აქვთ ასეთი „ხოში“.

კი, ბატონო, გადადგება (ჩემი ვარაუდით – უახლოეს დღეებში), მხოლოდ საქვეყნო ინტერესების, საზოგადოებრივი სტაბილიზაციის და რეფორმატორული წინსვლის აუცილებლობის, პოლიტიკურ გუნდში რეალობის შეფასებებში და კრიზისის დაძლევის გზების არჩევისას კონცეპტუალურად (!) განსხვავებული პოზიციების გამო.“

პირადად ჩემთვის, ბრიფინგზე წარმოთქმული მონოლოგიდან, ყველაზე მნიშვნელოვანი გახლდათ ხაზგასმა კონცეპტუალურად განსხვავებული ხედვების შესახებ, ანუ ეს არის ყველაზე ჯანსაღი მოვლენა ამ ვითარებაში.

ეს ერთი.

ახლა მეორე:

ვუსმენ მავანის და მავანის კომენტარებს და, ცოტა არ იყოს, სირცხვილის გრძნობა მაწუხებს. პოლიტიკური კულტურის დეფიციტს რომ თავი დავანებოთ, უბრალოდ, ხომ შეიძლება ადამიანურ გრძნობებს ცოტათი მაინც მოვუხმოთ?

ადრე ვწერდი, 6 ივნისის წერილშიც ვამბობდი: „...პირადად მე არაერთგზის მწვავედ გამიკრიტიკებია პრემიერი, მაგრამ არასოდეს დამვიწყებია, თუ პასუხისმგებლობის რა მძიმე ტვირთს ატარებს ის. თანაც, რა პირობებში!!!

...და, ამ ურთულეს პერიოდში გაწეული ღვაწლისთვის მას მადლობა უნდა ვუთხრათ ყველამ(!). ოღონდ, გულწრფელად!!! მით უმეტეს, ამ არეულობის „უთავო მოთავე“ შოთაძე გაისტუმრეს პატივისცემით და ტაშით...“

ჰოდა, თავად ვასრულებ სხვებისთვის გამიზნულ მოწოდებას: პრემიერის პოსტზე გაწეული მუშაობისთვის მადლობას მოგახსენებთ, ბატონო გიორგი კვირიკაშვილო!

წასვლისას გულშემატკივრის მხრიდან მიიღეთ ერთი „პაწია“ რჩევა-შენიშვნა-მოსაზრება:

თქვენი ბრალი არ არის, რომ „ზოგიერთი რამ“ ვერ (არ) გამოგივიდათ. ეს პოლიტიკაა და მხოლოდ ბანკირის გამოცდილება არ არის საკმარისი პოლიტიკურ მწვერვალზე ყოფნისას წარმატებული საქმიანობისთვის. ადამიანებთან პოლიტიკოსის მუშაობა რადიკალურად განსხვავდება ბანკირის „ფულთან“ მუშაობისგან. და ამ პრინციპის უგულებელყოფას შედეგიც დაუყონებლივ მოჰყვება.

საილუსტრაციოდ მხოლოდ ერთი მაგალითი (უცებ რომ ამომიტივდა): ის რომ პარლამენტის ცნობილი „ინციდენტის“, ისევე, როგორც ამ ბოლო პერიოდის უმწვავესი მოვლენებისას, თქვენ გვერდს არ „გიმშვენებდათ“ ე.წ. თქვენი გუნდი, მწარე, მაგრამ ღირებული გაკვეთილია თქვენთვის და... სხვისთვისაც.

ეს უწინარესი შედეგია იმისა, რომ უმაღლეს სახელმწიფო პოსტებზე განსაწესებლად კადრების (თუნდაც, ჯეჯელავების, ალავიძეების, ჯანელიძეების და სხვ.) მხოლოდ „საკუთარ“ და „ერთგულ“ გარემოცვაში ძებნა, იყო და არის თქვენი და „ქართული ოცნების“ კატასტროფული შეცდომა.

თქვენ (და მთელმა პოლიტსპექტრმა) მიიღეთ მშვენიერი გამოცდილება და ეს გამოადგება საქართველოს. მსოფლიოს პოლიტიკურ სცენაზე არაერთი პრემიერი მინახავს წასული და... უკან მობრუნებული, ზოგჯერ, ტრიუმფითაც კი... არც ირაკლი ღარიბაშვილი, არც თქვენ, ისევე, როგორც თქვენი წინამორბედნი, ქართული პოლიტიკური სივრცისთვის დაკარგულები არ ხართ... მთავარია რეპუტაცია და, გისურვებთ, თქვენი მომავალი ცხოვრება-საქმიანობით სწორედ ღირსეული რეპუტაციის შენარჩუნება-განმტკიცებას.

ნუგზარ ფოფხაძე

მე, შვილმკვდარი მამა დავით მხეიძე, პრინციპულად ვაცხადებ:

③ როდემდე უნდა იაროს ხელისუფლებამ შვილმოკლული მამის ხუშტურებზე?!

მურთაზ მამაგეიშვილი:

② ნაცმოძრაობის წევრს უნდოდა, დაგვეწერა, რომ დაზიანებები ჰქონდა, მაგრამ ტყუილს ხომ არ დავუწერდით!

ვიქტორ რცხილაძე:

④ უბინძურესი პოლიტიკური ეთიკა...



ინციდენტი თუ ჩასაფრებულ ნაცჟურნალისტთა სიბილწე!

ტრავმატოლოგი მურთაზ მამაგეიშვილი: ნაცმოძრაობის წევრს უნდოდა, დაგვეწერა, რომ დაზიანებები ჰქონდა, მაგრამ ტყუილს ხომ არ დავუწერდით!

არაფერი სამკურნალო არ ქონდა კვიტაიშვილს. მის ინტერესებში იყო, რომ რაღაც დაზიანება დაგვეწერა. არაფერი ჭირდა და ტყუილს ხომ არ დავწერდით?!, — ასე ეხმაურება „მეტრონომთან“ საუბრისას ტრავმატოლოგი მურთაზ მამაგეიშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის ნინო კვიტაიშვილის ბრალდებას, რომლის თანახმადაც მას პარტიული ნიშნის გამო არ უმკურნალეს.

„გამათავისუფლეს სამსახურიდან. ის, რასაც ამბობენ და ატრიალებენ, ეს ეგრე არ ყოფილა. ის ქალბატონი, ნინო კვიტაიშვილი, მართალს არ ამბობს. საერთოდ გაგიგიათ, რომ ექიმს ავადმყოფისთვის პოლიტიკური ნიშნით არ ემკურნალა? 70 წლის კაცი ვარ და ასეთი რამ არ გამიგია. შეიძლება პაციენტმა იდავოს, რომ არასწორად უმკურნალეს, ფული გამოძალეს, მაგრამ პოლიტიკური ნიშნით, რომ არ უმკურნალეს, ეგეთი რამ არ გამიგია. არაფერი სამკურნალო არ ქონდა კვიტაიშვილს. მის ინტერესებში იყო, რომ რაღაც დაზიანება დაგვეწერა. არაფერი ჭირდა და ტყუილს ხომ არ დავწერდით?!“, — აცხადებს მამაგეიშვილი.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრის ნინო კვიტაიშვილის განცხადების შემდეგ ინგოროყვას კლინიკის ექიმი-ტრავმატოლოგი სამსახურიდან გაათავისუფლეს. ამის შესახებ განცხადება კლინიკის გენერალუმა დირექტორმა გიორგი ინგოროყვამ გაავრცელა. განცხადების თანახმად, მიუხედავად ექიმსა და პაციენტს შორის მომხდარი გაუგებრობისა, პაციენტს სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარდა და ის ფაქტი, რომ ნინო კვიტაიშვილს რაიმე ნიშნით კლინიკის მხრიდან უარი ეთქვა სამედიცინო მომსახურების გაწევაზე, სიმართლეს არ შეესაბამება.

„გუშინ ჩვენს კლინიკაში პაციენტ ნინო კვიტაიშვილსა და ექიმ-ტრავმატოლოგ მურთაზ მამაგეიშვილს შორის მომხდარი გაუგებრობის მიუხედავად, მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ პაციენტს ყველა სამედიცინო გამოკვლევა და საჭირო მომსახურება ჩაუტარდა დროულად და ის ფაქტი, რომ მას რაიმე ნიშნით კლინიკის მიერ უარი ეთქვა სამედიცინო მომსახურების გაწევაზე, არ შეესაბამება სიმართლეს.

ამასთან ექიმის მხრიდან ადგილი ჰქონდა სამედიცინო ეთიკური ნორმების დარღვევას, რაც დაუშვებელია ექიმისთვის. ჩემი, როგორც გენერალური დირექტორის ბრძანების საფუძველზე ექიმი გათავისუფლებულია სამსახურიდან.

მინდა, კიდევ ერთხელ სრული პასუხისმგებლობით დავადასტურო, რომ პაციენტს ყველა სამედიცინო მომსახურება გაეწია დროულად და ადეკვატურად. ჩვენი მხრივ მივმართავთ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოს აღნიშნული შემთხვევა“ — ნათქვამია დირექტორის განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ „რუსთავი-2“-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ სოციალურ ქსელში დაწერა, რომ მის მეგობარს ნინო კვიტაიშვილს პარტიული კუთვნილების გამო ინგოროყვას საუნივერსიტეტო კლინიკის ტრავმატოლოგმა მკურნალობაზე უარი უთხრა.

„ნინო კვიტაიშვილი ჩემი პირადი ახლო მეგობარია. ხოდა, პირადად გავუმწარებ სიცოცხლეს ტრავმატოლოგ მამაგეიშვილს, რომელმაც მისი პარტიული კუთვნილების გამო, უარი თქვა პოლიციის მიერ ნაცემი ნინოსთვის სამედიცინო დახმარების გაწევაზე.

ინგოროყვას საუნივერსიტეტო კლინიკა გირჩევთ, თქვენით მიიღოთ ადეკვატური გადაწყვეტილება და ეგ ჰიპოკრატეს ფიცის დამრღვევი ნაბიჭვარი დროზე მოაშოროთ მაქედან. არა და — თქვენ თავს დააბრალეთ!“, — დაწერა გვარამიამ.

„მე ვუთხარი, დაზიანება რომ ყოფილიყო, უფრო მეტი უნდა ექნა პოლიციას...“

ინგოროყვას კლინიკის“ გათავისუფლებული ექიმი მურთაზ მამაგეიშვილი 11 ივნისის საღამოს „ინგოროყვას კლინიკაში“ მომხდარი ინციდენტზე პირველ განმარტებას აკეთებს. როგორც მამაგეიშვილი ამბობს, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის ნინო კვიტაიშვილის გაღიზიანება გამოიწვია იმან, რომ მას ხელშესახები დაზიანებები არ ჰქონდა. ექიმის თქმით, პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციას ადგილი არ ჰქონია.

„11 ივნისს მორიგე ვიყავი, ლავიწის მოტეხილობით მოვიდა 16 წლის ვაჟი, ოპერაციას ვაკეთებდი. ვიდრე ოპერაციას დავასრულებდი, მიმღებიდან ზარი გაისმა. სანიტარმა უპასუხა და უთხრეს ავადმყოფია ემერჯენსშიო. ასისტენტებმა დაასრულეს ოპერაცია, მე მაშინვე ჩამოვედი. შევედი მიმღებში, ქალბატონზე მიმითითეს. მივედი, რა გაწუხებთ-მეთქი, ვკითხე. მან მიპასუხა — ყველაფერი მტკივაო. რა მოხდა-მეთქი, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ვარო და აქციაზე პოლიციამ ზემოქმედება მოახდინა ჩემზეო. გავსინჯე. ხელების დათვალიერების დროს, მარჯვენა მხრის მედიალურ ზედაპირზე დაახლოებით ორსანტიმეტრნახევრიანი ორი წითელი ზოლი იყო. აი ისეთი, დიდი ხანი ლოყაზე ხელს რომ მიიდებ და გაწითლდება. არც სისხლჩაქცევა. დაჟეჟილობასაც თავის ნიშნები აქვს: შეშუპება, ჩალურჯება და ა.შ. ვუთხარი, არაფერი ისეთი დაზიანება არაა-მეთქი. წამოვედი, პირდაპირ დგას მაგიდა, სადაც უნდა დავწერო საკონსულტაციო ბარათი. არც ჩავთვალე საჭიროდ რენტგენის გადაღება, რენტგენზე ჩანს მარტო მოტეხილობა. ვუთხარი, რომ არაფერია, ცივი რამე დაედო და შემდეგ მალამოც შეეძლო. როგორ არაფერი არ არისო. მე ვუთხარი დაზიანება რომ ყოფილიყო, უფრო მეტი უნდა ექნა პოლიციას, რომ თქვენ რაიმე დაგტყობოდათ და მეც დავწერდი-თქო. ეს სიტყვები მან გაიგო ისე თითქოს მას ვუთხარი, შენ რადგან „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ხარ, შენთვის მეტი უნდა ექნათ“, — განაცხადა მამაგეიშვილმა

როგორც მურთაზ მამაგეიშვილის განცხადებით, ის ჯერჯერობით არანაირ ზომებს არ მიმართავს, თუმცა, ამბობს, რომ კვიტაიშვილი აპირებს, ჯანდაცვის სამინისტროს მიმართოს და მას ექიმობა აუკრძალოს. მამაგეიშვილის თქმით, თუ სამინისტრომ ეს დააკმაყოფილა, მხოლოდ ამის შემდეგ მიმართავს სამართლებრივ ზომებს.

რედაქციისგან:

მატყუარა ჟურნალისტის ნინო კვიტაიშვილის და დამსახურებული ექიმის მურთაზ მამაგეიშვილის „დაპირისპირება“ სხვა არაფერია, თუ არა ნაცხროვის კანტორა „რუსთავი-2“-ის ნაპროკურორალი დირექტორის ნიკა გვარამიას დანაქადნების აღსრულება ქართველი ხალხისადმი — „ჯოჯოხეთს მოგიწყობთ“?

აი, ყოველმხრივ მავნებელი ნაციონალების და პირადად ავადმყოფი მიშას ჯიბის ტელევიზიის ერთმა რიგითმა შანტაჟისტმა ჟურნალისტმა ნინო კვიტაიშვილმა ასე მოუწყო მორიგი ჯოჯოხეთი ჩვენი სამედიცინო საზოგადოების ღირსეულ წევრს, დამსახურებულ ქირურგს, 70 წლის მურთაზ მამაგეიშვილს.

კლინიკის დირექტორს, ბატონ გიორგი ინგოროყვას „შეეშინდა“ მუდამ ჭიქაში ქარიშხლის ამტეხი ანტისახელმწიფოებრივი ტელევიზიის აბეზარი ჟურნალისტებისა და ქირურგი გაათავისუფლა (უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით — განარიდა კლინიკას), რადგან არაკაცი გვარამია საზიზღრად დაემუქრა ამ სანაქებო სამედიცინო დაწესებულებას: „ეგ ჰიპოკრატეს ფიცის დამრღვევი ნაბიჭვარი დროზე მოაშორეთ მაქედან თორემ... მერე თქვენს თავს დააბრალეთ!“

ფეხები არავის მოჭამოთ (ათასი ბოდიში მკითხველთან, მაგრამ უზრდელ და ჟურნალისტური, პოლიტიკური და მოქალაქეობრივი ეთიკის მრავალგზის დამრღვევ პროკურორ-დირექტორს სხვაგვარად ვერაფერს შეასმენთ!) არამზადა გვარამიავ და შანტაჟისტო კვიტაშვილო! ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში ჩივილს რომ აპირებთ და ხანდაზმული ქირურგის ბოლომდე განადგურება გწადიათ, რა, ეს ქვეყანა ჩალით დახურული გგონიათ თუ... მამაგეიშვილის მსგავსი მაღალპროფესიული ექიმების ჩაჩოჩებით ფიურერ სააკაშვილის ყოფილ „ექიმ-ექსპერტებს“ უშოვით ადგილს?!

თქვენ გავიწყდებათ, რომ დღეს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პრინციპული და კოლეგათა უფლებების დამცველი ხელმძღვანელობა ჰყავს და თქვენი ცოცხალი ტყუილებისა და მუქარის გამო, არავის გაწირავს!

ისიც არ იცით თვითმარქვია „მთავარი არხის მთავარო ნაცისტებო“, რომ როცა სხვებს სამარეს უთხრით, ჯერ საკუთარ თავზე უნდა მოიზომოთ!

თუმცაღა, შესაძლოა, ბატონ მურთაზ მამაგეიშვილის მადლიერმა პაციენტებმა თქვენ განსაკუთრებული სამარე გაგიმზადონ!

პოლიცია კანონის ფარგლებში მოქმედებდა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნათია მეზვრიშვილმა ტვ პირველის ეთერში რამდენიმე დღის წინათ პარლამენტთან მიმდინარე აქციის დროს პოლიციის მიერ კარვების აღების შესახებ განაცხადა, რომ პოლიცია კანონის ფარგლებში მოქმედებდა და კარვებიც კანონის სრული დაცვით გადაიტანეს გზის სავალი ნაწილიდან.

„მას შემდეგ, რაც ჩვენ ეს კარვები აბსოლუტურად მშვიდობიანად და კანონის ფარგლებში გადავიტანეთ ტროტუარზე, მოქალაქეებს მივეცით იმის შესაძლებლობა, რომ გამოხატვის თავისუფლების რეალიზება მშვიდობიან გარემოში, უკვე ტროტუარზე მოეხდინათ. ყველამ კარგად ნახეთ, როგორ განვითარდა მოვლენები. ეს კარვები უკვე ამ ადამიანების მხრიდან გამოიყენებოდა არა როგორც გამოხატვის თავისუფლების ეფექტიანი რეალიზაციის შესაძლებლობა, რასაც ჩვენც ძალიან კარგად ვაცნობიერებთ, იმიტომ, რომ, როგორც სამართალდამცავი ორგანო, ჩვენც პატივს ვცემთ კანონს... ეს კარვები, ყველამ კარგად დავინახეთ, რომ გამოიყენებოდა როგორც საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ინსტრუმენტი, იმიტომ, რომ იქ იყვნენ ადამიანები, რომლებიც იმყოფებოდნენ ნასვამ მდგომარეობაში, იქ იყვნენ ადამიანები, რომლებიც ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, იქ იყვნენ ადამიანები, რომლებიც კარავში შესულ პოლიციელებს ჯერ ერთი — არ უშვებდნენ, მეორე — შიგნით შესულ პოლიციელებს, რომლებსაც აბსოლუტურად ჰქონდათ ამისი უფლება, იმიტომ, რომ ეს არ იყო ვიღაცის კერძო საკუთრება, აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას“, — განაცხადა მეზვრიშვილმა.

„პარლამენტი ოკუპირებულია გიგა ბოკერიასა და მისი ჯგუფის მიერ“

მეცხრე მოწვევის პარლამენტი ოკუპირებულია გიგა ბოკერიას და მისი ჯგუფის მიერ, — ეს განცხადება პარლამენტის პლენარულ სხდომაზე „პატრიოტების“ წევრმა ემზარ კვიციანმა გააკეთა და იმ საგამოძიებო კომისიას, რომელიც ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე შეიქმნა უნდობლობა გამოუცხადა. კვიციანი პროკურატურას მოუწოდებს, არ ითანამშრომლოს საგამოძიებო კომისიასთან. კვიციანის თქმით, მოზარდების მკვლელობის საქმის გამოძიება „არ უნდა ჩაატაროს სულხან მოლაშვილის მწამებელმა და უნდა ჩატაროს ობიექტურმა ხალხმა“.

ᲛᲔ, ᲨᲕᲘᲚᲛᲙᲕᲓᲐᲠᲘ ᲛᲐᲛᲐ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲮᲔᲘᲫᲔ, ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲣᲚᲐᲓ ᲕᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑ:

ᲠᲝᲓᲔᲛᲓᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲐᲠᲝᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ ᲨᲕᲘᲚᲛᲝᲙᲚᲣᲚᲘ ᲛᲐᲛᲘᲡ ᲮᲣᲨᲢᲣᲠᲔᲑᲖᲔ?!

მას შემდეგ, რაც 2012 წლის 1 ოქტომბერს ბიძინა ივანიშვილის მეთაურობით ქართველმა ხალხმა დაამხო სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმი, საზოგადოებამ თითქოს შვებით ამოისუნთქა: მყისიერად შეწყდა ციხეებში პატიმართა გაუგონარი სისასტიკით მასობრივი წამება; ქვეყნიდან გაქცევით თავს უშველეს რეჟიმის მთავარმა იდეოლოგებმა თუ პრაქტიკოსმა ბობოლა ჯალათებმა და თითქოს ქართველი ხალხის მთავარი მოთხოვნის აღსრულებას, სამართლიანობის აღდგენას წინ ვერაფერი დაუდგებოდა, მგრამ...

აშშ-ის მფარველობით დიმიტრი შაშკინი, რომლის მინისტრობისას ციხეებში 700-ზე მეტი პატიმარი მოკლეს საშინელი წამებით, ტრიუმფით დაბრუნდა საქართველოში. იგივე შეიძლება ითქვას გიგა ბოკერიაზეც, რომლის სახელთანაც ასოცირდება ე.წ. ციხის ბუნტის სისხლიანი ჩახშობა და სულხან მოლაშვილის წამებაც და ა.შ.

ბოკერიასაც აშშ-ის შიშითა თუ რიდით, რომ იტყვიან, ბუზიც ვერ აუფრინეს მეოცნებეებმა.

ყველაზე მთავარი – იგივე აშშ-ის ფარული ზეწოლის გამო არ მოხდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, როგორც ფაშისტური პოლიტიკური პარტიის გასამართლება და მისთვის პოლიტიკური მოღვაწეობის აკრძალვა!

ამ ყოველივეს კი, ზემოთ თქმულსაც და ქვემოთ სათქმელსაც, ერთადერთი სიტყვა კოჰაბიტაცია ჰქვია...

სწორედ კოჰაბიტაციის ბრალია, რომ დღიდან მიშნაცების ხელისუფლების დამხობისა, ქართველთა სისხლსა და ცრემლში მოვასვასე ნაცებს, ერთი წუთითაც არ მიუტოვებიათ „ქართულ ოცნებაზე“ რევანშის ოცნება და ის, რაც ამ დღეებში ხდებოდა რუსთაველზე, სწორედ პოლიტიკური რევანშის მცდელობა იყო!

თუმცა სანამ დღევანდელ სიტუაციაზე ვისაუბრებთ, უპრიანი მგონია მცირე ისტორიული ექსკურსით შევახსენო ქართველ საზოგადოებას, თუ რამ და როგორ მიგვიყვანა დღევანდელ საგანგაშო ვითარებამდე და ყველაზე მთავარი კითხვა: ვინ არის პასუხისმგებელი იმაზე, რაც ხდება და უფრო მნიშვნელოვანი, რაც შეიძლება რომ მოხდეს?..

რევანშის პირველი მცდელობა ნაცებს 2013 წლის ბოლოს ჰქონდათ, როდესაც წინასწარ დიდი რიხით დაანონსებულ აქციაზე, რომელზედაც ლამის მთელ საქართველოს ელოდნენ, რეალურად 2-3 ათასი კაცის მობილიზება ძლივს შეძლეს?!

მიუხედავად სამარცხვინო კრახისა, ერთი „დადებითი“ შედეგი მაინც მოიმკეს ნაცებმა – საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ არჩევნების გზით ხელისუფლებაში მათი მოსვლის ალბათობა ნულის ტოლია და აქედან გამომდინარე, სტრატეგიული მიზნის მისაღწევად ტაქტიკა შეცვალეს – ფსონი მასობრივი არეულობის მოწყობაზე დადეს – ეგება და მღვრიე წყალში ოქროს თევზი დაეჭირათ?!

დრო გადიოდა, რომელიც ნაცების წისქვილზე ასხამდა წყალს – „ქართული ოცნება“ შეცდომას შეცდომაზე უშვებდა. წინასაარჩევნო დაპირებების არშესრულებამ მოსახლეობის უმრავლესობა უკიდურეს გაჭირვებაში ჩააგდო; თანაც აღმოჩნდა, რომ შავი ჯიპები, კაბინეტებში ევრორემონტები, პრემია-დანამატები და ა.შ. ამა ქვეყნის სხვა სიამენი, ქოცებს ნაცებზე არანაკლებად „ნაყვარებათ“, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამომრჩეველმა 2016 წლის საპარლამენტო და შემდეგ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ნდობა, თანაც ამჯერად საკონსტიტუციო უმრავლესობით, კიდევ ერთხელ მაინც „ქართულ ოცნებას“ გამოუცხადა.

დიახ, „მაინც“, რადგანაც ამჯერად ქოცები იმას ვეღარ მოიმიზეზებდნენ, საკონსტიტუციო უმრავლესობის არქონის გამო, ნაცები ქვეყნის შენებაში ხელს გვიშლიანო, ეს ერთი და მეორე უმთავრესი – **ფეხებით რომ დამკიდონ და ქვემოდან ცეცხლი შემინთონ, იმას ვერავინ მათქმევინებს, რომ მიშნაცების სისხლიანი რეჟიმი სჯობდა დღევანდელ, თუნდაც უუნარო ქოცების მმართველობას!**

დარწმუნებული ვარ, რომ ჩემსავით ფიქრობს საქართველოს მოსახლეობის გონიერი ნაწილი, მაგრამ ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რომ ეს „კიდევ ერთხელ“ და „მაინც“ უსასრულოდ ვეღარ გაგრძელდება!

ნაცბანდას ზემოთ ხსენებული შეცვლილი, ახალი ტაქტიკის განხორციელების, მასობრივი არეულობის პროვოცირების პირველი მცდელობა, „რუსთავი-2“-თან დაკავშირებული პერიპეტიებისას ჰქონდა, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილებით ამ ტელეკომპანიის მფლობელად ქიბარ ხალვაში გამოცხადდა.

„დაჩაგრული“ ყველაზე „ობიექტური“, რეალურად კი ყოველივე ანტიეროვნულის, ლგბტ-პედერასტების მეხოტბე ტელევიზიის დასაცავად, რომ იტყვიან, ქუდზე კაცს უხმეს ტელემეძავმა გვარამიამ, მაგრამ ეს „ქუდზე კაცი“ რამდენიმე ხელმოცარული, რომ იტყვიან, ორკაციანი პარტიების პრაქტიკულად ნულოვანი რეიტინგის მარგინალი ლიდერები და რამდენიმე ახალგაზრდა თუ ძველგაზრდა ე.წ. შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები აღმოჩნდნენ და, რა თქმა უნდა, სოროსის მიერ უხვად დაფინანსებული არასამთავრობო (წაიკითხე, მეხუთე კოლონა) სექტორი კაპიტან ეკა გიგაურისა და ეფრეიტორ ნინო ლომჯარიას (დღეს, საქართველოს სახალხო დამცველი) მეთაურობით და პრაქტიკულად საქართველოში აკრედიტებული მთელი (??? !!!) დიპკორპუსი...

ხელისუფლებამ ამ ყველაფერს ნიკა გვარამიასა და მიშა სააკაშვილის სატელეფონო საუბრის გამოქვეყნებით უპასუხა, სადაც ექსპრეზიდენტი სააკაშვილი ღია ტექსტით მოითხოვდა გვარამიასგან აქციაზე, ერთი-ორი ადამიანის (მათ შორის, ერთი აუცილებლად ქალი, შვილების დედა ან ფეხმძიმე მაინც უნდა ყოფილიყო) სიკვდილს, რასაც უკვე რუსთაველზე დიდი მიტინგი და მღელვარება უნდა მოჰყოლოდა!..

რა თქმა უნდა, მიშარასტებმა ეს სატელეფონო საუბარი სუს-ის ჩაფიქრებულ მონტაჟად შერაცხეს!

პარადოქსული ფაქტია – რაც კი ოდესმე საქართველოში ვიდეო, ან აუდიოკომპრომატები დაუდიათ, არ მახსოვს, რომელიმეს ნამდვილობა იმთავითვე ეღიარებინათ – ე.წ. ავთენტურობაზე აპელირებით, კიტრი ბადრიჯანიაო, გვიმტკიცებენ!

ნუ ვიქნებით „უმადურები“ და ვაღიაროთ, რომ იმჯერად მასობრივი ეროვნული უბედურებისგან, ისევ ჩვენმა დასავლელმა „მეგობრებმა“ გვიხსნეს – ქართული სასამართლოს ვერდიქტი სტრასბურგმა თავზე გადაგვახია და „რუსთავი-2“ ისევ ისე ჟღურტულებს მიშნაცების სამებლად და ჩვენი გულების გასახეთქად, როგორც ყოველთვის...

ნაცბანდის მეორე ცდა მასობრივი არეულობის გზით ხელისუფლებაში დაბრუნებისა, სულ ახლახან მოხდა, როდესაც „ბასიანელ-გალერის“ ნარკომანებმა, ბარიგებმა, პროსტიტუტკებმა და ლგბტ პედერასტებმა, როგორ თუ გარყვნილების, ნარკოტიკების ყიდვა-გაყიდვის ნებას არ გვაძლევთო და „თავისუფლების“ მოთხოვნით 2-3 დღე ოკუპირებული ჰქონდათ რუსთაველის გამზირი, საიდანაც ე.წ. თეთრი ხმაურის აქტივისტი გოგო-ბიჭები დანარჩენ, „ბნელ საქართველოს“ ხომ გვაგინებდნენ და გვლანძღავდნენ, ეგეც არ იკმარეს და 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნის მემორიალი ბინძური უკანალების როკვით წაბილწეს – 9 აპრილს თავისუფლებისთვის გმირულ ბრძოლაში დაიღუპნენ ის ყმაწვილები, იმ თავისუფლებისთვის, რისთვისაც დღეს ვიბრძვითო ჩვენ!!!

ანუ თავისუფლება „ბასიანი“ და „გალერი“ ყოფილა!..

„რუსთავი-2“-ს (წაიკითხე, ნაცბანდა) დასაცავად ვინც „ვენებს იჭრიდა“, ზუსტად იგივე პარტიები თუ პიროვნებები უცხადებდნენ სოლიდარობას „ბასიან-გალერის“ „წმინდა აქციას“, რომელიც შს მინისტრის „მეგრული ბოდიშის“ შემდეგ დაიშალა, მაგრამ ე.წ. თეთრი ხმაურის მუქარით, რომ თუ...

ნაცბანდის რევანშის მესამე ცდა ახლა მიმდინარეობს ვითომც და შვილმოკლული ზაზა სარალიძის სოლიდარობის სარჩულით.

ვისაც შვილის სიმწარე გამოუცდია, ალბათ, დამეთანხმება, რომ მშობლისთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს, 15 წლის ბიჭს მოგიკლავენ თუ 13 წლის ბიჭს უკურნებელი სენი ჩაგიწვენს მიწაში. ამიტომ, როგორც შვილმკვდარი მამა, რა თქმა უნდა, ვუსამძიმრებ ბატონ ზაზას, მაგრამ...

აი, ეს ერთი შეხედვით უწყინარი სიტყვა „მაგრამ“ არის, რომ ყველაფერს თავდაყირა აყენებს!

ის აქცია, რომელიც ამ დღეებში მიმდინარეობდა, რომ თეთრი ძაფითაა ნაკერი, ბრიყვთათვისაც კი იმთავითვე ცხადი იყო. მარტო ზვიად კუპრავას, სააკაშვილის რეჟიმის ერთ-ერთი სასტიკი ზონდერის უბრალოდ დგომაც კი ზაზა სარალიძის გვერდით, ლეგიტიმური ეჭვის საფუძველი იქნებოდა, რომ ამ ყველაფრის ორგანიზატორები მიშნაცები არიან!

ზვიად კუპრავა კი, რომელიც 9 წლის მანძილზე გვარბევდა და გვაწიოკებდა სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლებს, არა თუ იდგა, არამედ მას მიჰყავდა მიტინგი.

ბატონი ზაზა თან აცხადებდა, რომ პოლიტიკა არ აინტერესებს და თან საათში ერთხელ პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებდა, რომ **სისტემა უნდა დაინგრეს, მთავრობა უნდა გადადგეს!..**

ზაზა სარალიძესაც ნაცბანდასთან ერთად იმ ორკაციანი პარტიის ლიდერები უჭერენ მხარს, რომლებიც „რუსთავი-2“, „ბასიან-გალერის“, „თეთრი ხმაურის“ გამო, უკაცრავად პასუხია და ნიფხვებიდან ხტებოდნენ!

იმთავითვე მჯეროდა, რომ, როგორც მინიმუმ „ნაცისტები“ მწუხარებით გონდაბნელებულ მამის ტკივილს უსინდისოდ იყენებდნენ საკუთარი ვიწრო პარტიული ინტერესებისთვის, მაგრამ ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა გაცილებით უარესში დამაეჭვა – შვილმოკლული მამაც რევანშისტების (წაიკითხე, სააკაშვილის პროექტი) მიერ დადგმული სპექტაკლის ერთ-ერთი მთავარი აქტიორი ხომ არ ბრძანდება?

გენპროკურორი გადადგა, პრემიერ-მინისტრი აქციაზე მივიდა, სადაც ნაცბანდის ახალგაზრდა აქტივისტებმა, რომლებიც ნიანგის ცრემლებს აღვარღვარებენ მოკლული ბიჭის გამო, ბოთლები დაუშინეს მას!

მიუხედავად ამისა პრემიერი და შს მინისტრი შეხვდნენ, მუსმინეს, დაჰპირდნენ, მაგრამ იქიდან გამოსულმა შვილმოკლულმა კვლავ – სისტემა უნდა დაინგრეს და ხელისუფლებას 10 ივნისამდე მისცა ვადა?!

როგორც იტყვიან, გაჟეჟილს გატეხილი ჯობიაო და აჰა, გატყდა კიდეც – შვილმოკლული მამის მხარდამჭერ აქციაზე ისეთი ოდიოზები გამოჩნდნენ, როგორებიც არიან: ყოფილი გენპროკურორი, ანუ სააკაშვილის რეჟიმის ერთ-ერთი ბურჯი მურთაზ ზოდელავა, სადისტი მკვლელების, ბაჩანა და დათა ახალაიების მამა, სამეგრელოს ჯალათი როლანდ ახალაია და ბუტა რობაქიძის მკვლელობის გამყალბებელი გურამ დონაძე...

ამას დაუმატეთ დედაეკლესიისა და პირადად ჩვენი პატრიარქის მტრის, „მეუფე“ პეტრესა (წაიკითხე, ყანდური) და ციანიდის მოყვარული „მამა“ გიორგი მამალაძის მიმართვები აქციის მონაწილეთადმი და ცხადი გახდება აქციის ორგანიზატორთა რეალური მიზნები?!

ქოცების მეხოტბედ რომ არ ვივარგებ, ეს ყველამ იცის, ვინც მიცნობს, მაგრამ ზაზა სარალიძის მხარდამჭერ ნაძირალა პოლიტიკოსთა ჩამოსაგდები ნაღდად არ არის ბიძინა ივანიშვილი!

უფრო მეტიც – ზაზა სარალიძეს კი არა, ქართველმა საზოგადოებამ უნდა წაუყენოს ხელისუფლებას ულტიმატუმი: არა მხოლოდ სარალიძის, დადუნაშვილის, მაჩალიკაშვილის მკვლელები უნდა დაისაჯონ, არამედ 150-ზე მეტი ქუჩებში ჩაცხრილული ახალგაზრდებისა თუ ციხეებში 700-ზე მეტი წამებით მოკლული პატიმრების საქმეები უნდა ჩამოიღონ თაროებიდან. ერთი სიტყვით, ამერიკა იქნება თუ ევროპა, კოჰაბიტაციით მათთან კეკლუცობას თავი დაანებონ და სამართლიანობა, ქართველი კაცის უპირველესი მოთხოვნა აღადგინონ!

თუ მაინც არ მოგვასვენებენ კოჰაბიტაციური რჩევებით ჩვენი სტრატეგიული მოკავშირეები, მათაც მიაფურთხონ და მთავარ მოკავშირედ მისი უდიდებულესობა ქართველი ერი აღიარონ, თორემ?..

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲮᲔᲘᲫᲔ.

P. S.

ᲖᲣᲡᲢᲐᲓ ათ ივნისს ელოდნენ აქციის ორგანიზატორები ზღვა ხალხის ქუჩაში მოსვლას და ქოცების ხელისუფლების დამხობას, მაგრამ მოხდა პირიქით – 31 მაისს დაწყებული საპროტესტო აქციის მერე მომიტინგეთა რაოდენობა დღითი დღე კლებულობდა, რადგანაც საზოგადოებასაც ჩემსავით ბევრი რამ ეხამუშებოდა და ამ კლებამ კრიტიკულ ზღვარს სწორედ 10 ივნისს მიაღწია და გრანდიოზული აქციის ნაცვლად საზოგადოებამ ნაცების აქტივისტების მიტინგი იხილა. ამ კრახით გამწარებულებმა, შვილმოკლულ მამებს გაშლილი კარვები ტრანსპორტის სავალ ნაწილზე გადაატანინეს, რის გამოც ხელოვნურად მოხდა ქალაქის ცენტრალური ქუჩის პარალიზება. ეს აშკარა პროვოკაცია, შანტაჟი იყო – აბა მოდით, გაბედეთ და ხელი გვახლეთო?!

ᲑᲐᲠᲐᲫᲐᲚᲐ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲝᲛᲐᲡᲐᲪ ᲘᲗᲮᲝᲕᲓᲐ ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲓ ᲓᲐᲣᲙᲠᲔᲤᲐᲕᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲣᲚᲘ ᲖᲐᲖᲐ ᲡᲐᲠᲐᲚᲘᲫᲔ.

ᲨᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲐᲠᲐ ᲗᲣ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲞᲐᲢᲠᲣᲚᲛᲐ ᲙᲐᲠᲕᲔᲑᲘᲪ ᲓᲐᲨᲐᲚᲐ ᲓᲐ ᲕᲘᲠᲘᲡ ᲐᲑᲐᲜᲝᲨᲘ 14 ᲓᲦᲘᲗ ᲑᲐᲜᲐᲝᲑᲐ ᲛᲘᲣᲡᲐᲯᲖᲐ ᲖᲕᲘᲐᲓ ᲙᲣᲞᲠᲐᲕᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲐᲛᲤᲡᲝᲜᲔᲑᲘ!

ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲝᲛᲐᲡ, ᲐᲠᲪ ᲨᲕᲘᲚᲛᲝᲙᲚᲣᲚᲘ ᲛᲐᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲠᲘᲡᲮᲣᲚᲘ ᲗᲔᲐ ᲬᲣᲚᲣᲚᲙᲘᲐᲜᲘ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ „ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲪ“ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲜ ᲔᲙᲐ ᲒᲘᲒᲐᲣᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲡ ᲣᲐᲠᲘ ᲣᲗᲫᲕᲐᲛᲡ ᲘᲛ „ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲘᲡ“ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲐᲖᲔ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲗᲐᲪ ᲫᲐᲚᲘᲡ ᲙᲐᲪᲐᲓ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲘᲫᲘᲗ, ᲙᲐᲪᲘᲡ ᲫᲐᲚᲐᲓ ᲓᲐᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘᲧᲝ!?

ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲖᲔᲛᲝᲠᲔ ᲗᲥᲛᲣᲚᲡ ᲘᲡᲘᲪ ᲓᲐᲕᲣᲛᲐᲢᲝᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲐᲛᲑᲔᲑᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ-2“ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲝᲑᲘᲗ ᲘᲡᲔ ᲢᲔᲜᲓᲔᲜᲪᲘᲣᲠᲐᲓ ᲐᲨᲣᲥᲔᲑᲓᲜᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲛᲐᲛᲐᲓ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲘᲗᲥᲕᲐᲡ – ᲔᲡ ᲒᲐᲨᲣᲥᲔᲑᲐ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲜᲐᲪᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲒᲐᲓᲐᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲨᲙᲐᲠᲐ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲘᲧᲝ!

ᲐᲮᲚᲐ, ᲨᲕᲘᲚᲛᲝᲙᲚᲣᲚᲛᲐ ᲛᲐᲛᲐᲛ, ᲛᲘᲡᲪᲐ ᲠᲐ ᲒᲝᲜᲘᲕᲠᲣᲚᲘ ᲕᲐᲓᲐ ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲡᲐᲡ, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲛᲝᲬᲧᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲘᲚᲝ ᲓᲐ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲐᲩᲔᲠᲐ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲔᲑᲘ?!

ᲠᲝᲓᲔᲛᲓᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲐᲠᲝᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲨᲕᲘᲚᲛᲝᲙᲚᲣᲚᲘ ᲛᲐᲛᲘᲡ ᲮᲣᲨᲢᲣᲠᲔᲑᲖᲔ?

ᲑᲝᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲑᲝᲚᲝᲡ, ᲕᲘᲜ ᲑᲠᲫᲐᲜᲓᲔᲑᲐ ᲖᲐᲖᲐ ᲡᲐᲠᲐᲚᲘᲫᲔ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲕᲡ ᲐᲛᲓᲔᲜᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ? ᲗᲣ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲠᲘᲡ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲓᲣᲚᲒᲔᲜᲪᲘᲐᲐ?

Დ. Მ.

უბინძურესი პოლიტიკური ეთიკა...და შვილმოკლული კაცის ტრაგედია

ბოლო დროს განვითარებული მოვლენებიდან, როგორც მოსალოდნელი იყო, აშკარად გამოიკვეთა ე. წ. „ნაციონალური მოძრაობისა“ და მსგავსი ორგანიზაციების, მათ შორის „ადამიანის უფლებების დამცველთა“ და ა. შ. უბინძურესი პოლიტიკური ეთიკა, როდესაც მათი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენეს შვილმოკლული მამის ტრაგედია. დიდი პოლიტიკური ეთიკით ვერც ხელისუფლება გამოირჩევა, რომელმაც მიუხედავად ფართო საზოგადოების მოთხოვნისა, დაესაჯა ბობოლა „ნაცები“ და გაეწმინდა მათგან პროკურატურა და სასამართლოს სისტემა — ეს არ გააკეთა. ნაცვლად ციხისა, მრავალი „ნაცი“ გადეპუტატდა და პარლამენტის შენობაში აღმოჩნდა. ამას ყოველი ნორმალური ქართველი გრძნობს და აღიარებს. ამის თქმით ვერ ვიქნები დიდად ორიგინალური. ამიტომ ჩემი მიზანი გახლავთ უფრო სიღრმისეული ხედვა, რაც წარმოაჩენს სახელმწიფოს დამოკიდებულებას ნაციონალურ ფენომენთან, ინდივიდუუმის თავისუფლებასთან, საზოგადოებასთან და ა. შ. ამ მიზნით შევარჩიე გამოჩენილი გერმანელი მოაზროვნისა და ღვთისმეტყველის ფრიდრიხ გოგარტენის წიგნი „პოლიტიკური ეთიკა“ (იენა, 1932), რომელიც გამოიცა ერთი წლით ადრე ჰიტლერის გაბატონებამდე.

ქვემოთ მოყვანილი მთელი მსჯელობა ამ წიგნიდან მაქვს აღებული ან მის გარშემო ტრიალებს.

სახელმწიფოს თავისი ღრმა დასაბუთება სწორედ იმის შეგნებიდან აქვს, რომ ადამიანი ბოროტია. პოლისი, ანუ სახელმწიფო მოწოდებულია, ადამიანი იხსნას იმ ბოროტებისა და ქაოსისაგან, რაც, პირველ რიგში, ადამიანის საკუთარი არსიდან მომდინარეობს.

ყოველი ინდივიდუალისტური და, ეს სხვაგვარად ნიშნავს, ყოველი არაპოლიტიკური ეთიკა ამოდის იმ წინაპირობიდან, რომ ადამიანი პრინციპულად კეთილია. ეს ინდივიდუალისტური სრულყოფილების ეთიკა სახელმწიფოს თავის მოთხოვნებს უყენებს, რომლებიც მან უნდა აღასრულოს, თუკი სურს, ნამდვილ სახელმწიფოდ აღიარონ. ეს პრეტენზიები იქითკენაა მიმართული, რომ სახელმწიფომ ინდივიდუუმის თავისუფლება არ შეზღუდოს და რომ იგი ამ თავისუფლების გარანტად იქცეს. ამრიგად, აქ ბატონობს არა სახელმწიფო, არამედ ინდივიდუუმი, რათა თავისი ზნეობრივი უნარის საფუძველზე დაყრდნობით თავისუფლად განაგებდეს საკუთარ თავს.

ამრიგად, თანამედროვე ადამიანი საშინელი დესპოტიზმის ქვეშ გმინავს. და ეს არის მისი საკუთარი ქმედება, რომელიც მას მონად აქცევს. იგი ტყვეობაშია საკუთარი თავისუფლების სიგიჟისა. ის უსახელო, ფარული შიში, რომელმაც მას ამ ტყვეობისაკენ უბიძგა და შეშლილის რწმენა, რომ არსებობს საკუთარი თავისუფლება და დამოუკიდებლობა, რომელშიც იგი მშვიდ თავშესაფარს ეძებს ამა ქვეყნის სასტიკ დაუცველობაში, სწორედ ისინი ამყოფებენ მას დესპოტის დაუნდობელ მონად.

სახელმწიფო არსებობს ბოროტების გამო, რათა აშკარად, გარეშე უსამართლობა მოიგერიოს. იმით, რომ სახელმწიფოს სასჯელით დამუქრება ძალუძს, იგი ღვთის მსახურია, შურისმაძიებელი სასჯელი იმის მიმართ, ვინც ბოროტებას სჩადის (რომ., 13, 4). სადაც არ არსებობს ცოდნა ბოროტების შესახებ, სახელდობრ, ცოდნა ბოროტებისა, რომელიც ადამიანის სიცოცხლეს ძირფესვიანად ემუქრება, მაშინ არ არსებობს ცოდნა სახელმწიფოს შესახებ, იქ აღარ არსებობს ნამდვილი სახელმწიფო ძალაუფლება და მაშინ ცდილობენ ადამიანის სიცოცხლეზე ძალაუფლების მოპოვებას საკუთრივ ადამიანის შესაძლებლობიდან, მისი თავისუფლებიდან. მაშინ სახელმწიფოს დანიშნულებას იმაში კი არ ხედავენ, რომ იგი გარანტი იყოს მორჩილებისა, არამედ იმაში, რომ იგი გარანტი იყოს თავისუფლებისა, სახელდობრ თავისუფლებისა ინდივიდუუმის სუვერენობის გაგებით. ტრაგიკული, უფრო სწორედ სატანური, აქ არის ის, რომ ამ გზით სახელმწიფო და სახელმწიფო ძალაუფლება ემხობა და ადამიანები აღმოჩნდებიან საშინელი დესპოტიზმის ქვეშ. ნაცვლად იმისა, რომ ეს ადამიანები პასუხისმგებლობის დომინირებით ურთიერთდაკავშირებული იყვნენ, ისინი იქცევიან საგანთა მონებად და, ამგვარად, იძულებითი წესით, ერთმანეთის მიმართ უპასუხისმგებლონი ხდებიან. ადამიანური თავისუფლება არასოდეს მდგარა ისეთი საშიშროების წინაშე, როგორც დღეს, როდესაც ინდივიდუუმის თავისუფლება სახელმწიფოსათვის ალფა და ომეგა გამხდარა.

სახელმწიფო ყოველთვის უნდა გადაგვარდეს, როდესაც მის სუვერენიტეტს ხელყოფენ. მაგრამ, ეს ხდება აუცილებლობით, თუკი იგი სწორი წესით არ არის დაფუძნებული. სახელმწიფოს აქვს თავისი სუვერენობა და უზენაესობა. იქიდან, რომ იგი დემონურ, ადამიანის არსებობისათვის საშიშ ძალას თრგუნავს, მხოლოდ აქედან და მხოლოდ აქედან აქვს მას სუვერენული ძალა ადამიანის არსებობაზე. სწორედ აქედან უნდა ხდებოდეს მისი დაფუძნება. იმ ფაქტით, რომ იგი ადამიანს არსებობის შესაძლებლობას აძლევს და იმ გზით, რომლითაც იგი ამას აკეთებს, მოცემულია საფუძველი და საზომი მისი სუვერენული ძალაუფლებისა, სადაც არაფერი უწყიან ამ საშიშ ძალაზე, ანუ, პირდაპირ რომ ვთქვათ, ბოროტებაზე, იქ შეუძლებელია, სახელმწიფოს სწორი დაფუძნების შესახებ სწორი ცოდნა ჰქონდეთ. მაშინ არ სურთ სახელმწიფოს შესახებ რაიმეს ცოდნა ან იგი შეგნებულად სულაც აღარ სურთ, როდესაც აღარ სურთ სუვერენული სახელმწიფო ძალაუფლება. იმათ, რომელთაც ეს არ უწყიან, უნდა ეძებონ სახელმწიფოსა და მისი უზენაესობის სხვა გზით დაფუძნება.

დღეს ჰგონიათ, რომ ეს გზა ნაპოვნი აქვთ, როდესაც სახელმწიფოს აფუძნებენ ნაციონალურობაზე. სახელმწიფოს ეს განაციონალისტურება ხდება, ჩვეულებისამებრ, როგორც რეაქცია იმის საპასუხოდ, როდესაც სახელმწიფო იქცევა ხოლმე მარტოოდენ საზოგადოებად თავისი „ადამიანის უფლებებით“ და მასთან დაკავშირებული ინტერნაციონალიზებით. (ადამიანის, ინდივიდუუმის უფლებები კი დაკავშირებულია იმ შეხედულებასთან, რომ ადამიანი კეთილია, ხოლო ეს გოგარტენის მტკიცებით ან ქრისტიანული რწმენით — მცდარი!).

ზედმეტია იმაზე საუბარი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ნაციონალურ მომენტს სახელმწიფოსთვის. მაგრამ სწორედ ამ დიდი მნიშვნელობის გამო, რაც ნაციონალურს აქვს, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ იქნება გაგებული ურთიერთობა სახელმწიფოსა და ნაციონალურს შორის. არის თუ არა სახელმწიფო ნაციონალურზე დაფუძნებული და იგი თავის უფლებას იქიდან ღებულობს, რომ იგი ნაციონალურს ემსახურება, თუ — პირიქით, ნაციონალური თავისი არსებობის აზრს სახელმწიფოდან ღებულობს.

თუ პირველ აზრს გავიზიარებთ, ე. ი. რომ სახელმწიფო ნაციონალურს ეფუძნება, მაშინ სახელმწიფო ნასესხებ უზენაესობას ღებულობს. სახელდობრ იმით, რომ ნაციონალურს უნდა ემსახუროს, რომ ნაციონალური მისი უმაღლესი მიზანია. მაგრამ ამის ატანა სახელმწიფოს არ შეუძლია ისე, რომ დიდი ზიანი არ განიცადოს. სახელმწიფოს აქვს თავისი საკუთარი, სავსებით არა სხვისაგან წარმოებული უზენაესობა და საპირისპირო შემთხვევაში იგი საერთოდ წყვეტს არსებობას. მაგრამ, ხაზგასასმელია, რომ თავად ნაციონალურიც ფუჭდება, თუკი მას სახელმწიფოზე მაღლა დააყენებენ. აქ ხდება ცოცხალი კონკრეტულობიდან, სახელდობრ ხალხის ღირსების დამცველი და მისი მასაზრდოებელი ადათ-წესიდან მკვდარი აბსტრაქციის შექმნა — მეტად თუ ნაკლებად, თვითნებურად გამოტანილი იდეა ხალხის განსაკუთრებულ თვისებაზე. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ადამიანზე დამკვიდრდა „ოპტიმისტური“ შეხედულება, მას მერე, რაც ადამიანი გაიგება, როგორც აბსოლუტურად ავტონომიური და საკუთარი თავის გამგებელი არსება, ხდება სწორედ ამის გამო ბოროტის შემეცნების, ნამდვილი ეთიკური ფენომენის დაკარგვა და ადამიანის არსებობისათვის საშიში ბოროტების ძალის შესახებ უკვე აღარაფერი უწყიან. აი, მხოლოდ მას შემდეგ გახდა სახელმწიფოს ეს ნაციონალიზება შესაძლებელი. სახელმწიფოს ნაციონალისტური აღქმა მომდინარეობს იმავე თეორიიდან, რომელიც ინდივიდუუმს სახელმწიფოს მიმართ სუვერენულად აცხადებს. ასეთი აღქმის შედეგად დაიკარგა შესაძლებლობა სახელმწიფოს ნამდვილი დასაბუთებისა და თუ არ გვინდა, ნაცვლად სახელმწიფოსი, მარტოოდენ საზოგადოება შეგვრჩეს, ეს დასაბუთება სხვაგან უნდა ვეძებოთ. ამავე დროს უნდა ვაღიაროთ, რომ ნაციონალისტური აღქმა ყველაზე მეტად ესადაგება სახელმწიფოს არსს. მაგრამ, იმაზე თვალის დახუჭვა არ შეიძლება, რომ სახელმწიფოს, ნაციონალისტური გაგებით, უკავშირებთ ისეთ აღქმას, რომელიც ხელყოფს სახელმწიფოს უზენაესობას. ნაციონალური ის რომ ყოფილიყო, რომელიც სახელმწიფოს აფუძნებს და რომლის სამსახურისა და შენარჩუნებისათვის სახელმწიფო არსებობს, მაშინ საჭირო აღარ იქნებოდა სახელმწიფოს უზენაესობა ნამდვილი გაგებით, რომელიც ბოროტების იმ დემონურ ძალას თრგუნავს და ამდენად ადამიანის არსებობას შესაძლებელს ხდის. მაშინ ადამიანს თავისი არსებობა ექნებოდა ნაციონალურიდან, როგორც თავისი უმაღლესი ღირებულებიდან. ფაქტობრივად ასეთია ნაციონალიზმის შეხედულება. აქედან აფუძნებენ ნაციონალისტები თავიანთ უფლებას, რათა ხელთ იგდონ სახელმწიფო ძალაუფლება და გამოიყენონ თავიანთი იდეებისა და მიზნების განსახორციელებლად, მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ნაციონალურს, რომელიც თურმე სახელმწიფოს აფუძნებს და, მაშასადამე, სახელმწიფოზე მაღლა იმყოფება, უმაღლეს რელიგიურ ღირსებას მივაკუთვნებთ. ამგვარად იკავებს ნაციონალური ღმერთის ადგილს. იგი გაღმერთებულია, იგი გაღმერთებული უნდა იყოს. ამგვარად იქცევა სახელმწიფო მისთვის უცხო საქმის მსახურად, რამდენადაც მას სურთ მიანიჭონ უმაღლესი ძალაუფლება და მნიშვნელობა.

ზემომოყვანილი მსჯელობიდან აღიძვრის საინტერესო კითხვა: ნუთუ ეკლესიამ უნდა დააფუძნოს სახელმწიფო ან მასზე რაიმე ძალაუფლება უნდა ჰქონდეს? პასუხი უარყოფითია. სახელმწიფოს უზენაესობას არ სჭირდება ეკლესიისაგან სანქციონირება. მაგრამ, სახელმწიფოს უზენაესობა რომ გამოჩნდეს და აღიარებულ იქნას მისი ძალა ბოროტების დამთრგუნველისა, ამისათვის, რასაკვირველია, მას სჭირდება ეკლესია. ხოლო ეს ძალა ბოროტების დამთრგუნველისა მხოლოდ მაშინ გამოჩნდება, თუკი ბოროტების შეცნობის გზა არსებობს. ეს გზა კი ეკლესიაა, რომელიც ბოროტებას შეგვაცნობინებს და, ამავე დროს, აღვიძებს ჩვენში რწმენას და მისკენ მოგვიწოდებს. ეკლესიაც თრგუნავს ბოროტებას და გვამცნობს მასზე საბოლოო გამარჯვების შესახებ.

იფარავს რა სახელმწიფო ადამიანს, მის მოქალაქეობრივ არსებობას, ბოროტების გამანადგურებელი ძალის წინაშე, ეკლესიაც ასევე იფარავს მას და ილვწის მისი მარადიული სიმართლის გადასარჩენად. ისევე, როგორც სახელმწიფო კარგავს თავის უზენაესობას და წყვეტს არსებობას, თუკი იგი არ განავრცობს ზეციური მამის სახარებას და არ ამხელს ცოდვის წარმომავლობას ადამიანში.

ხსნა არის მხოლოდ გამამართლებელ რწმენაში: ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ იგი ბოროტია ღვთის წინაშე, ხოლო ღმერთი კეთილია ბოროტი ადამიანის მიმართ. ღვთის ეს სიკეთეა ერთადერთი, რითიც ადამიანი წილნაყარი ხდება სიკეთესთან.

პირველცოდვის გამო ადამიანს სურს სამართლიანობის მიღწევა მხოლოდ საკუთარი ქმნილებებით და საქმეებით. ეს არის სწორედ ცოდვის წყევლა, რომ ადამიანს სხვარიგად არც ძალუძს. განახლებული ადამიანი არ არის, ზნეობრივი გაგებით, სრულყოფილი ადამიანი.

რასაკვირველია, ძველი და განახლებული ადამიანი ერთიერთისაგან არ იხლიჩება, იგი ერთია. მაგრამ მხოლოდ რწმენა იესო ქრისტესადმი დაანახვებს მას საკუთარ ცოდვას და ხსნის გზას.

ფრიდრიხ გოგარტენის წიგნს ეხმიანება ცნობილი ამერიკელი თეოლოგის რაინჰოლდ ნიბურის ნაშრომი — „რატომ არ არის ქრისტიანული ეკლესია პაციფისტური“, რომელიც დაიბეჭდა 1940 წელს, ე. ი. გოგარტენის თხზულების გამოქვეყნებიდან 8 წლის შემდეგ. აქ იგი პირდაპირ აცხადებს, რომ „ადამიანური ეგოიზმი შეუძლებელს ხდის საზოგადოების ყველა წევრის თანამშრომლობას ნებაყოფლობით საფუძველზე. ხელისუფლებამ უნდა განახორციელოს იძულება“. თუმცა იგი იქვე დასძენს, რომ ამ იძულებაში არის ბოროტების ელემენტი, ანუ, ნეტარი ავგუსტინეს სიტყვებით, ის ერთდროულად არის ცოდვის შედეგი და საშუალება მის წინააღმდეგ. შემდეგ ნიბური განაგრძობს: **„იმის გამო, რომ სამართლიანობა არ არის თავისუფალი შურისძიების ელემენტისაგან, პაციფისტები ასკვნიან — არასოდეს არ არის საჭირო მტერთან ბრძოლა. ამ დროს ისინი არ ითვალისწინებენ იმ გარემოებას, რომ კაპიტულაციამ ადვილად შეიძლება მტრის უარესი შურისძიების ობიექტად გვაქციოს“.**

ვიქტორ რცხილაძე

დიმიტრი შაშკინი დიმიტრი შაშკინის წინააღმდეგ

რატომ ღმერთს არ გაეცინება?!

არა, „ქართული ოცნების“ დამცველი, მით უმეტეს აპეკუნი, არ გახლავართ, რაკიღა განათლების სფეროში არც „მეოცნებეებს“ ბევრი არაფერი გაუკეთებიათ სასიკეთო. მაგრამ, ჩემი მხრივ, დიდი უსამართლობა იქნებოდა ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი „თვალსაჩინო“ წარმომადგენლის, განათლების ყოფილი მინისტრის, ბატონი დიმიტრი შაშკინის აზრი გამეზიარებინა და განათლების სისტემაში არსებული კრიზისი მარტო „ოცნების“ მომხრეებისთვის გადამებრალებინა, როგორც ამას ბატონი დიმიტრი აკეთებს. ყოველ შემთხვევაში, „მეოცნებეები“ ნაციონალების თითის დაქნევასა და ჭკუის დარიგებას ნამდვილად არ იმსახურებენ. ეს ის შემთხვევაა, როცა ამბობენ: „რაც ალხანა, ის ჩალხანა!“ ან: „არც ერთი უქნია გამჩენს და არც – მეორეო“.

მივყვეთ თანამიმდევრულად:

გაზეთ „ახალი თაობის“ 30 მაისის ნომერში დაიბეჭდა განათლების ყოფილი მინისტრის დიმიტრი შაშკინის წერილი სათაურით: „ჩამოშლილი და განადგურებული განათლების სისტემა“. მასში ბატონი დიმიტრი უმკაცრეს შეფასებას აძლევს განათლების ახლანდელ ვითარებას და აღშფოთებას გამოთქვამს იმ ფრიად საწუხარი ვითარების გამო, რომ 2018 წლის სასკოლო გამოცდებზე გასული 40 ათასი მოსწავლიდან 11 ათასი ჩაიჭრა, ანუ 11 ათასმა მოსწავლემ ვერ დაძლია სასწავლო პროგრამა, ვერ გადალახა მინიმალური ზღვარი.

ამ თავისთავად შემაშფოთებელი ფაქტიდან ამოსული, განათლების ყოფილი მინისტრი ბოლო 6 წლის განმავლობაში განათლების სისტემაში არსებული მდგომარეობის ზოგადი მიმოხილვის შემდეგ მიდის უმძიმეს დასკვნამდე, რომ დღეისათვის ქართული განათლების სისტემა ჩამოშლილი და განადგურებულია.

უნდა ვთქვა, რომ ბატონი დიმიტრი შაშკინის შეშფოთებას მართლაც აქვს საფუძველი. განათლების სისტემაში რომ სრული კრიზისი იყო და არის, ამაში სადავო არაფერია. ამ კრიზისის შესახებ პირადად მე რამდენიმე წერილი დავბეჭდე რესპუბლიკის გაზეთებში. დავასახელებ ზოგიერთ მათგანს: **„თანამედროვე განათლების შუქ-ჩრდილები“, „დიახ, კრიზისი, ოღონდ კრიზისი კულტურაში, განათლებაში, აღზრდაში“, „განათლების რეფორმა და პიროვნების ფორმირების პრობლემა“** და ბევრი სხვა. ვითვალისწინებ რა საგაზეთო წერილის მოცულობის შეზღუდულობას, მხოლოდ ერთი ამონარიდით დავკმაყოფილდები ამ წერილებიდან:

„განათლების რეფორმამ, რომლითაც ასე ყელყელაობდა ძველი ხელისუფლება, თითქმის არაფერი სასიკეთო არ მოუტანა ჩვენს საგანმანათლებლო სისტემას, კერძოდ: უნდა დამარცხებულიყო და ვერ დამარცხდა მასობრივი უწიგნურობა, უნდა ამაღლებულიყო და ვერ ამაღლდა სკოლაში დისციპლინა, უნდა გაზრდილიყო და ვერ გაიზარდა მასწავლებელთა პრესტიჟი და ავტორიტეტი, უნდა გაუმჯობესებულიყო და ვერ გაუმჯობესდა მასწავლებლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, უნდა გამყარებულიყო და ვერ გამყარდა ზნეობრივი ღირებულებები, უნდა აღორძინებულიყო და ვერ აღორძინდა ეროვნული ცნობიერება, პირიქით, დაემცრო და დაკნინდა“ და მრავალი სხვა.

ასე რომ, განათლების სისტემაში არსებული კრიზისის შესახებ ჩემი აზრი ემთხვევა ბატონი შაშკინის აზრს, მაგრამ სრულიად განსხვავებულია, შეიძლება ითქვას, საპირისპიროა ამ ფაქტის ჩემეული შეფასება. ბატონ შაშკინს მიაჩნია, რომ ნაციონალების განათლების სისტემა სანიმუშო იყო და მხოლოდ „ოცნების“ ხალხმა დააქცია ქვეყანა. ეს კი ასე ნამდვილად არ არის! მე მიმაჩნია და, რამდენადაც საგაზეთო წერილის მოცულობა ამის საშუალებას მომცემს, ვეცდები, ვაჩვენო, რომ **ქართული განათლების სისტემა სწორედ ნაციონალებმა დაამხეს და დააქციეს**.

აქაც მივყვეთ თანამიმდევრულად:

სწორედ ნაციონალებმა მოინდომეს განათლებისა და ჯანმრთელობის დარგში რეფორმების ჩატარება. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ჯანმრთელობის დარგში ეს რეფორმა მეტ-ნაკლებად გამოუვიდათ (ყოველ შემთხვევაში, გარკვეული დადებითი შედეგები აშკარად დაფიქსირდა) განათლებაში კი მან სრული კრახი განიცადა.

აღარაფერს ვიტყვი იმაზე (ეს **სხვა წერილებში ბევრჯერ მაქვს ნათქვამი),** რომ განათლების მესვეურებმა სრული იგნორირება გაუკეთეს სპეციალისტთა, ანუ განათლების დარგის მეცნიერთა და პრაქტიკოს პედაგოგთა აზრს და მთელი აქცენტი იმ **უცხოელ ექსპერტებზე** გადაიტანეს, რომლებმაც არაფერი იცოდნენ ქართული განათლების არც წარსულისა და არც აწმყოსი. და, რაკი იმ პერიოდში საქართველო განვითარებად ქვეყნად იყო გამოცხადებული, უცხოელმა ექსპერტებმა განვითარებადი ქვეყნის განათლებისათვის შემუშავებული მოდელი უცვლელად, მექანიკურად გადმოიტანეს ერთ-ერთი უძველესი კულტურისა და განათლების ქვეყანაზე.

და მაინც ყველაზე კურიოზული და სასაცილო ისაა (სატირალი რომ არ იყოს), რომ **ქართული განათლების დაქცევის სათავეში სწორედ ის დიმიტრი შაშკინი დგას (ბატონ კახა ლომაიასთან ერთად), რომელიც ახლა ჭირისუფლობს განათლებას** და ცხარე ცრემლებს ღვრის – ეს რა დღეში ჩააგდეს ჩვენი ნალოლიავები ქართული განათლება ამ საზიზღარმა „ოცნების“ ხალხმაო.

რატომ მივიჩნევ მე **ქართული განათლების ერთ-ერთ დამაქცევრად ბატონ დიმიტრი შაშკინს?!** მივიჩნევ თუნდაც იმ დოკუმენტის გამო, რომელიც მის სახელთან არის დაკავშირებული. ეს არის მაშინდელი განათლების მინისტრის **დიმიტრი შაშკინის 2010 წლის 3 დეკემბრის ბრძანება,** რომლის მიხედვითაც **პედაგოგიკა უნდა ამოგდებულიყო საგანმანათლებლო საგნებიდან.** იმას, ვინაც არ იცის – **რა არის პედაგოგიკა,** ეს შეიძლება მინისტრის ერთ-ერთ რიგით ბრძანებად მოეჩვენოს, მაგრამ, ვინც უკეთ ერკვევა საქმის ვითარებაში, მაშინვე მიხვდებოდა და მიხვდება, რომ საქმე ეხება იმ მეცნიერების გაუქმებას, რომელიც მოწოდებულია მეცნიერულად შეისწავლოს ადამიანის აღზრდის საქმე. უფრო მეტიც, საქმე ეხება სწავლების თეორიის გაუქმებას. და ახლა, რამდენადაც კურიოზული არ უნდა იყოს, ის ადამიანი, რომელმაც ამ ბრძანებას მოაწერა ხელი, სხვათა დანაშაულზე ლაპარაკობს განათლების სისტემაში.

განათლების მინისტრის ამ ბრძანებას, როგორც მოსალოდნელი იყო, თანდათანობით მოჰყვა პედაგოგიური პროფილის უნივერსიტეტის გადაკეთება ე.წ. „ილიაუნად“, ანუ ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტად, პედაგოგიკის საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტისთვის დაფინანსების შეწყვეტა და შესაბამისად, გაუქმება, უმაღლეს სასწავლებლებში პედაგოგიკის კათედრების გაუქმება, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსების ფუნქციების ჯერ შეზღუდვა და მერე სრულად შეწყვეტა და ა. შ. (იმას აღარა აქვს მნიშვნელობა, რომელი მინისტრის ან პრეზიდენტის დროს მოხდა ეს. აქ მთავარია ის, რომ ასეთი რამ ნამდვილად მოხდა). თითქოს ამის უარესი რაღა უნდა დაეშავებინა განათლების სისტემისათვის განათლების სამინისტროს, მაგრამ, როგორც ამბობენ, ეს მხოლოდ ჟურნალი იყო, კინო კი მაშინ დაიწყო, როცა ქვეყნის მაშინდელ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს მოუნდა, რომ ქართველი ბავშვები, „როგორც ყველაზე ნიჭიერი ბავშვები მსოფლიოში“ ხუთი წლის ასაკიდან შეეყვანათ მშობლებს სკოლაში. მიუხედავად მეცნიერთა კატეგორიული წინააღმდეგობისა (მათ შორის **მეც გამოვთქვი ჩემი პროტესტი** გაზეთის ფურცლებზე), პრეზიდენტმა მაინც თავისი გაიტანა. ამას ზედ ისიც დაემატა, რომ პირველივე კლასიდან სწავლება ერთდროულად უნდა დაწყებულიყო ქართულ და ინგლისურ ენებზე, რის წინააღმდეგაც ჯერ კიდევ **იაკობ გოგებაშვილი** გამოდიოდა. მაგრამ სააკაშვილს იაკობ გოგებაშვილის გვარი თუ გაეგონა მარტო, თორემ მისი მოძღვრებისა არაფერი იცოდა და რომ ცოდნოდა კიდევაც, მაინც მის კაპრიზზე წინ მეცნიერის მოსაზრებას არ დააყენებდა. არადა, იაკობ გოგებაშვილი იმიტომ კი არ იყო უცხო ენის პირველი კლასიდანვე სწავლების წინააღმდეგი, რომ ენების ცოდნის ფასი არ ესმოდა, არამედ იმიტომ, რომ მიაჩნდა – არამშობლიურ ენაზე სწავლება გონებრივად აქვეითებს მოზარდს და, რაც მთავარია, ქართველად არ და ვერ ჩამოაყალიბებს მას.

ახლა მოდით, ისევ შაშკინს მივუბრუნდეთ. იგი, ცხადია, არ შეწინააღმდეგებია პრეზიდენტის ამ უაზრო და მავნე გადაწყვეტილებას. პირიქით, პრეზიდენტის სიბრიყვეს თავისიც დაუმატა და ე. წ. **მანდატურის სამსახური** შემოიღო. არც ამ გადაწყვეტილებას შეხვედრია ზარ-ზეიმით ქართველი მეცნიერები. მე პირადად გაზეთ „ასავალ-დასავალში“ მას **„უანდარმერია სკოლაში“** ვუწოდე, ყოველშემთხვევაში, მანდატურები დასაწყისში მართლა ასეთები იყვნენ, რადგანაც მარტო მოსწავლეებსა და მასწავლებლებს კი არ აფრთხობდნენ და აშინებდნენ ისინი, არამედ სკოლის დირექტორების დიდი ნაწილიც ჰყავდათ დაბრიყვებულები.

აი, ასეთი იყო საქმის რეალური ვითარება, ბატონო დიმიტრი! თქვენ კი ურცხვად და უტიფრად ჰყვებით ზღაპრებს იმის შესახებ, რომ თქვენ, ნაცებს, კარგი განათლების სისტემა გქონდათ და რომ იგი „ოცნების“ ხალხმა დაამხო და გააპარტახა. ეს კი ნამდვილი კურიოზია. თქვენ შეწუხებული ხართ იმ მდგომარეობით, რასაც თავადვე დაუდეთ სათავე. ანუ თქვენ, დიმიტრი შაშკინი, ებრძვით იმას, რაც გააკეთეთ თქვენვე, დიმიტრი შაშკინმა! კიდევ ერთხელ გავიმეორებ: თქვენ მართალი ხართ იმაში, რომ განათლების სფეროში მდგომარეობა საგანგაშოა და რომ, თუ დროულად არ შეიცვალა საქმის ვითარება, ქართული განათლების სისტემა სრულად დაემხობა და გაპარტახდება, მაგრამ ცუდი და თვალში ნაცრის შეყრა ის არის, როცა საკუთარ დანაშაულს სხვას აბრალებ. რასაკვირველია, ადამიანურად კარგად მესმის, რომ დანაშაულის თუ სერიოზული გადაცდომის აღიარება ადვილი საქმე არაა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში შედარებით პატიოსანი ადამიანები უბრალოდ ჩუმდებიან და სხვისკენ არ იშვერენ ხელს, თუმცა ეს არ ეხება ნაციონალებს. მათთვის ხომ ყველა ტყუის, მათ გარდა. თვითონ კი ყოველთვის და ყველაფერში მართლები არიან, რას იზამ, მორიელის არ იყოს (ლაპარაკია სულხან-საბას იგავზე „კუ და მორიელი“) ასეთი ჯიშისანი არიან.

თავშივე ვთქვი, მე „ოცნების“ აპეკუნობას ნამდვილად არ ვაპირებ იმდენად, რამდენად დღემდე მათაც ბევრი არაფერი გაუკეთებიათ განათლების სისტემის გასაუმჯობესებლად (ის კი არადა, ყოვლად ოდიოზური პიროვნება ალექსანდრე ჯეჯელავა დანიშნეს მინისტრად, რომელზეც ხალხი უკვე კი არ ბრაზობდა, არამედ უბრალოდ „ღადაობდა“ და ანეკდოტებს თხზავდა).

რაც შეეხება მთავარ კითხვას: რა ეშველება ჩვენს განათლების სისტემას, ამაზე პასუხი, ბატონო დიმიტრი, სამწუხაროდ, არც თქვენ გაგაჩნიათ და არც „მეოცნებეებს“. არადა, ამ საკითხზე სერიოზული მსჯელობაა გასამართი! მაგრამ ამისთვის გაზეთის ფურცლები არ გამოდგება (საკმარისი არ იქნება). პირველ რიგში კი, რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ, მთავრობამ და განათლების სამინისტრომ უნდა აღიარონ, რომ არსებობენ განათლების დარგის მეცნიერები, ამ საქმის სპეციალისტები და მათი კონსულტაციებით უნდა ისარგებლონ, თუ უნდათ, რომ, ბოლოს და ბოლოს, უცოდინარობისა და უვიცობის კასკადი დასრულდეს და ქართულმა განათლებამ ძველი სახელი და დიდება დაიბრუნოს.

რევაზ ბალანჩივაძე,
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

„პატრიოტთა ალიანსმა“ პარლამენტის საგამოძიებო კომისია დატოვა

„პატრიოტთა ალიანსი“ საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის მუშაობაში მონაწილეობას არ მიიღებს. ამის შესახებ განცხადება, პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა და კომისიის წევრმა ადა მარშანიამ გააკეთა და განაცხადა, რომ კომისიის დაკომპლექტება რეგლამენტის წესების დარღვევით მოხდა და იმ კომისიაში სადაც „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები უმრავლესობით არიან წარმოდგენილი, ის ვერ იმუშავებს“

„მინდა განვაცხადოთ კიდევ ერთხელ, რომ რეგლამენტის დარღვევით მოხდა კომისიის შემადგენლობის დაკომპლექტება. ეს შეგნებულად მოხდა. კენჭისყრა საერთოდ უპრეცენდენტო იყო. უმრავლესობა არის „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები. ეს კომისია ვერ ხედავს, რომ სხვა საქმეებითაც უნდა იყვნენ დაკავებულები. ნუ მოიშველიებთ არგუმენტად რეგლამენტს. მე შევალ პარლამენტში ინიციატივით, რომ შეიქმნას ამდაგვარი კომისა და ვნახავთ როგორ დაუჭერთ მხარს. აქედან გამომდინარე, იმ კომისიაში სადაც „ნაციონალური მოძრაობა“ უმრავლესობით ზის, ჩვენ ვერ ვიმუშავებთ და არაფერი გვესაქმება. ეს არის „ქართული ოცნების“ ბრალი“, – განაცხადა ადა მარშანიამ.







პოლიგნიანი ნელინაჯი

თამარ ღონღაძეს ესაუბრება როსტომ ჩხეიძე

— ბატონო როსტომ, მე ცხრაწიგნიანი წელიწადი მიკვირდა თქვენგან და...

— რა ხდება, ხომ არ გადავაჭარბე?

— თუ ათი ცხრაზე მეტია, მაშინ გადაგიჭარბებიათ და ეგაა.

— კი არ დამითვლია.

— თქვენ რატომ უნდა ითვლიდეთ, ეს ჩვენი მოვალეობაა, მკითხველებისა, და შესაფერისადაც რომ ვაფასებდეთ ნამდვილ მწერალთა ნაღვაწს, არ იქნებოდა ურიგო.

— დაფასების მხრივ უკმაყოფილო როგორ შეიძლება ვიყო, ისეთი პროფესიული განხილვები იმართება მათ ირგვლივ და ისეთი ჩინებული რეცენზიები, ესეები თუ ნარკვევები ქვეყნდება მათზე მუდმივად, ქართული კრიტიკული აზრის მაღალ დონეს რომ შეჰფერის.

— ისე გამიხარდა, ბაჩანა რაზიკაშვილზე ბიოგრაფიული ნატეხები ანუ რომან-დილოგიის ეს მეორე ნაწილი — „მოკვეთილი“ — რომ აღარ გადადეთ და არსებითად ზედვე მოაყოლეთ თედო რაზიკაშვილზე შექმნილ თხზულებას „ხელთუბანი“.

— მეც მიხარია, რომ მალევე გამომიჩნდა შესაფერისი მასალები ამირან არაბულისა და ეთერ თათარაიძის წყალობით და რომანი-დილოგია „რაზიკაანი“ კიდეც მოთავდა, თორემ მართლაც გულდასაწყვეტი იქნებოდა ცალფად დარჩენილი „ხელთუბანი“, ახლა კი თედო რაზიკაშვილის ტრაგიკული ბედისწერა ძალდაუტანებლად შეივსო ბაჩანას დრამატული ბედისწერით.

— რომან-დილოგიის „რაზიკაანი“ ეს ნაწილი სწორფრობისა და წაწლობის თემის ირგვლივ დატრიალდა, არსებითად მათ ქარგაზე გაიშალა და, ვერ წარმოიდგენთ, რარიგ იმოქმედა ჩემზე იმ სიფაქიზემ, იმ ფილიგრანულმა დახვეწილობამ, რითაც თქვენ ეს ურთულესი თემა გაიაზრეთ, არ მოვერიდები ამის თქმას: გრიგოლ რობაქიძის „ენგადის“ რანგში ახვედით ამ სიფაქიზე-დახვეწილობით.

— მივაღწიე თუ არა „მოკვეთილით“ „ენგადის“ რანგს, ჩემი განსასჯელი არ არის, მაგრამ მართებულად გაგახსენდათ ეს მოთხრობა, გრიგოლ რობაქიძე მოკრძალებით რომ შედგა მისტიკური საიდუმლოს ზღვართან და მისი გადალახვა, ხელყოფა, მკრეხელური შებღალვა არ უცდია, არ უცდია უნებლიეთ, თორემ განზრახ რატომ ჩაიდენდა. ამ გზას გაჰყვნენ ნათელა ბალიაურიც და ზურაბ კიკნაძეც და ამიტომაცაა ერთის მხატვრულ-დოკუმენტური თხზულება და მეორის მეცნიერული ნარკვევი ასეთი სრულფასოვანი, ძველთაძველი რიტუალის, მისტერიულ წარმოდგენებში ჩაფესვილი მოვლენის რაობასა და გამოგნებელ მიმზიდველობას რომ შეგვაგრძნობინებს.

— ის წიგნი კი მეტად ორიგინალური გამოდგა, რომლის ძირითად საყრდენსაც შეადგენს თქვენი მემუარისტულ-ანალიტიკური ნარკვევი, თუ როგორ იწერებოდა „დევების სტუმარი“: ვაჟა-ფშაველას ცხოვრების ქრონიკა. ნიშანდობლივია, რომ ამ ყაიდის ნარკვევმა — ედგარ პოს „კომპოზიციის ფილოსოფიამ“ — დიდი ზეგავლენა მოახდინა ფრანგულ ლიტერატურაზე, შარლ ბოდლერმა, სტეფან მალარმემ და პოლ ვალერიმ თავიანთ მხატვრულ მეთოდად რომ მოიმარჯვეს, და ჩვენშიც არსებობდა ამისთანა ცდები — სრულიად დამოუკიდებლად: შემოქმედებითი ლაბორატორიისთვის ერთი კალთის გადახსნა. თვითონ ვაჟა-ფშაველას ნარკვევი გვახსოვს, იპოლიტე ვართაგავას სტატიის ერთმა პასაჟმა რომ გამოიწვია, და კიდევ: მიხეილ ჯავახიშვილის, გრიგოლ რობაქიძის, ოთარ ჩხეიძის. ამ ციკლს შეემატა თქვენი ეს ორიგინალური თხზულებაც, რომლის გამოქვეყნება იმ მხრივაც აღმოჩნდა შთამბეჭდავი, რომ დაერთო ქართული სალიტერატურო კრიტიკის სოხუმური ფრთის წარმომადგენელთა — ნინო ვახანიას, სალომე კაპანაძის, ნანა კუციას, მარინე ტურავასა და თამარ ყალიჩავას მეცნიერული სტატიები „დევების სტუმარზე“.

— განსაკუთრებით ის მახარებს ამ პატარა წიგნის გადაფურცვლისას, ჩემთვის ძვირფასი და პატივსაცემი ადამიანების საფუძვლიანი ნააზრევის გვერდით, მათ ფონზე რომ არის გამომზეურებული იმ შემოქმედებითი გზის აღდგენა, „დევების სტუმრის“ შექმნის ფსიქოლოგიური გარემოებანი, რაც თავისთავადაც საგულისხმო აღმოჩნდა. ყოველთვის ვერ აღადგენ ამ გზას ისე, რომ მკითხველისთვისაც ცოცხლად და მიმზიდველად წარმოისახოს, ამ შემთხვევაში კი, როგორც ჩანს, გაამართლა.

— კარგია, რომ არ გადადეთ და ჩაინიშნეთ, თორემ მერე არაერთი ნიუანსი თუ გარემოება თვალს მიგეფარებოდათ.

— ამ შემთხვევაში ასე გამოდგა უკეთესი, სხვა შემთხვევაში შესაძლოა, დროის გადმოსახედიდან სჯობდეს იმ იდუმალი, ავტორისთვისაც შეუცნობელი პროცესის აღდგენა სულიერ დრამას რომ უკავშირდება, გაცილებით მძაფრ დრამას კაცობრიობის ცხოვრებაში, ვიდრე ყოფითი დრამებია, თუმც ცხადია, იმათ მნიშვნელობას ოდნავადაც არ ვაკნინებ.

— ორიგინალური აღმოჩნდა თქვენი ესეების კრებული „ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია“, გალაკტიონურ-პავლიანურიო, ქვესათაურად რომ მიაწერეთ, და მართლაც მარჯვედ გაამთლიანა ამ ორი პიროვნების — გალაკტიონ ტაბიძისა და პავლე ინგოროყვას — სულიერმა ნათესაობამ და მათი აზროვნების გადამკვეთ წერტილთა, თუ შეიძლება ასე ითქვას, წარმოჩენამ.

— ეს ის ესეებია, რომელნიც მათზე შექმნილი ბიოგრაფიული რომანების — „ბედი პავლე ინგოროყვასი“ და „კომიკოსი ტრაგედიაში“ — მიღმა დაიწერა მოკლე დროში, თავისთავად აღმოჩნდა ამ ორ პიროვნებას შორის გადაკვეთის ხაზები და ამ იდუმალმა შეხმიანებებმა გამოიწვია ამ ხაზების ერთად თავმოყრის სურვილი. მკვეთრია მათი სულიერი ნათესავობა, მიუხედავად იმისა, რომ გვერდი-გვერდ ვერ გაძლეს და გალაკტიონ ტაბიძე პირველი ნომრის გამოცემამდე გამოეცალა ჟურნალ „კავკასიონს“, რომლის სარედაქციო წევრიც გახლდათ, რედაქტორი კი პავლე ინგოროყვა.

— მიზეზი?

— არაფერს მითანხმებსო, ჩიოდა გალაკტიონი.

— და რატომ არ უთანხმებდა?

— რედაქტორი, რომელიც ვინმეს რაიმეს უთანხმებს, მე თუ მკითხავთ, საერთოდ არც არის რედაქტორი, პავლე ინგოროყვა კი ნიმუში გახლავთ რედაქტორისა ყველა თავისი თვისებით და... რასაკვირველია ამ მხრივაც.

— იაკობ ნიკოლაძეს საკმაო ადგილი ეთმობა ამ წიგნში.

— თქვენც მიგიქცევიათ ყურადღება — მართლაც საკმაო. ის კი არა, მას შემდეგაც ნელ-ნელა ვაგროვებ მასალებს ამ დიდებულ მოქანდაკეზე და ადრე თუ გვიან შესაძლოა, შევავსო ეს ნარკვევი და ჩემი ბიოგრაფიული ნატეხების ციკლს კიდევ ერთი ნიმუში შევმატო.

— ბიოგრაფიული ნატეხები ახსენეთ და ამ სერიიდან შარშან გამოიცა „რეკვიემი სინანულისა“, ირაკლი წერეთლის ლიტერატურულ-პოლიტიკური პორტრეტი, სრულიად ახლებურად რომ წარმოსახეთ ეს პიროვნება, რომელიც თუნდ ჩემს თვალში არავითარ სიმპათიას არ იწვევდა, რაკიღა — მსოფლიო რევოლუციაზე მეოცნებეს — არად უღირდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, მეტიც, დაბრკოლებადაც მიაჩნდა და ყოველნაირად ეწინააღმდეგებოდა დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებას. მაგრამ სიცოცხლის მიმწუხრზე თურმე სინანულის გრძნობა გასჩენია და ერთიანად გადაუფასებია გამოვლილი გზა.

— ეს მასალები ჩვენს სამწერლო-სამეცნიერო მიმოქცევაში გივი გამრეკელის შემოტანილია, და მე ძალიან წამადგა, რადგანაც ყოველთვის მაინტერესებდა ამგვარი სულიერი შემობრუნებანი, რაც ადასტურებს ამა თუ იმ პიროვნების ფსიქიკურ და გონებრივ სიღრმეს. მანამდე ირაკლი წერეთელი მეც სწორხაზობრივ პიროვნებად მეჩვენებოდა და მიკვირდა გიორგი წერეთლის შვილისა და ნიკო ნიკოლაძის დისშვილისაგან ეს ზედაპირულობა, მაგრამ აგერ სულ სხვა რამ გამოიკვეთება. ასეა — თუ ადამიანის მთელ ცხოვრებას არ იცნობ, დასკვნების გამოტანისგან თავი უნდა შეიკავო.

— წიგნში აღნიშნულია, რომ ესაა მეორე ნაწილი დილოგიისა „ჩხეიძე-წერეთლის რესპუბლიკა“, რომლის პირველ ნაწილადაც აწ უკვე ნაგულისხმევი გაქვთ „თვითმკვლელობა — გარდუვალი მოვალეობა“, კარლო ჩხეიძის ლიტერატურულ-პოლიტიკური პორტრეტი.

— როდესაც ბიოგრაფიული ნატეხების ის ნიმუში შეიქმნა, მაშინ რას ვიფიქრებდი, თუკი ირაკლი წერეთელზე ასეთი საინტერესო მასალები აღმოჩნდებოდა და ახლებურად დამანახვებდა ამ თითქოსდა სწორხაზობრივ ადამიანს. ისე, ის ტრაგიკულ-ჰეროიკული აღსასრული რომ არა, კარლო ჩხეიძეც დიდად ვერ მოგვაწონებს თავს თავისი პოლიტიკური არჩევანით, მაგრამ მისი თვითმკვლელობა, თავის თავზე რომ აიღებდა 1924 წლის აგვისტო-სექტემბრის ტრაგედიას, ზნეობრივ პასუხისმგებლობას რომ იტვირთებდა, ისე აღიტაცებდა თავის დროზე მიხეილ ჯავახიშვილს, წმინდანთა დასაკუთვნები, რომელთათვისაც მწერლობა ცხოვრებაა და ცხოვრება კიდევ — მწერლობა. ასე შეივსო, შეივსო, შეივსო და სულ უფრო გაძლიერდა მხატვრული მხარეც, დოკუმენტურთან ერთად, თავისთავად გამკვეთრდა მისტიკური ფონი, ძალდაუტანებლად იჩინა თავი დეტექტიურმა ნაკადებმაც... და რომანი სხვა კი არაფერია!..

— ამ ყაიდის რომანი ქართულ სინამშიც კი შერაცხავდა თავის გუნებაში კარლო ჩხეიძეს...

და დილოგია ოდესმე ამ სახელწოდებით რომ გამოიცემა „ჩხეიძე-წერეთლის რესპუბლიკა“, იმიტომაც, რომ იმჟამად ევროპის ქვეყნებში სწორედ ასე იხსენიებდნენ ჩვენს ქვეყანას: არა ჟორდანიას, არამედ სწორედაც „ჩხეიძე-წერეთლის რესპუბლიკად“, და ამისთანა შემთხვევას ხელიდან როგორ გავუშვებდი.

— ჩხეიძის გამო, არა?

— ცხადია.

— რომანები რომ დაახვავეთ, ეს ხომ საერთოდ გამაოგნებელია — ერთბაშად ხუთი რომანი, მათგან აკაკი წერეთლის ცხოვრების ქრონიკა გრანდიოზულიც რომ არის და ორ ვეება რომანსაც დაიტევს თავისი მოცულობით.

— ვერ შეეჩვიეთ?

— თან შევეჩვიეთ თქვენგან, მაგრამ თან ვერა, გაკვირვებას მე პირადად რომ ვერა ვფარავ თქვენი ყოველი ახალი წიგნის გამოსვლისას. რაც შეეხება ლინგვისტურ რომანს — „ჟარგონი და მეტსახელი, და კიდევ ტოპონიმიკა და ხეთური სამყარო“ — ამის თაობაზე უკვე გვქონდა საგანგებო დიალოგი „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე და ამჯერად აღარ ღირს სიტყვის გაგრძელება, მაგრამ აი, „თვითმკვლელობა ქართულად“ რამ მოგაფიქრათ მისტიკურ რომანად დეტექტიური ნაკადებით?

— წინასიტყვაობაშიც მიწერია, რომ თავიდან რომანად საერთოდ არ ჩამეფიქრებინა, პოლემიკურ გამოხმაურებად განვიზრახე ბორის აკუნინის — წარმოშობით ჩხარტიშვილის — მონოგრაფიისა „მწერალი და თვითმკვლელობა“: რათა კიდევ ერთხელ გამებათილებინა რუსულ ლიტერატურისმცოდნეობაში გავრცელებული ყალბი ვერსია გალაკტიონ ტაბიძის თვითმკვლელობის თაობაზე, და ამასთან აღმედგინა პაოლო იაშვილის თვითმკვლელობის მიზეზ-გარემოებანიც.

მაგრამ ეს ჩინებული წიგნი დამენანა მარტოდენ კრიტიკული შენიშვნებისთვის და გადავწყვიტე მისი მხატვრულ-კონცეფციური ღირსებანიც წარმომეჩინა, მერე ზოგიერთი ქართველი თვითმკვლელი მწერლის პორტრეტული შტრიხებიც მოვხაზე, მერე მთელი გალერეის აღდგენაც მოვინდომე ქართველი თვითმკვლელი მწერლებისა, დავინტერესდი თვითმკვლელი პერსონაჟების ბედითაც.

მე ხომ ისედაც იმ ადამიანებს მივეკუთვნები, რომელთათვისაც მწერლობა ცხოვრებაა და ცხოვრება კიდევ — მწერლობა. ასე შეივსო, შეივსო, შეივსო და სულ უფრო გაძლიერდა მხატვრული მხარეც, დოკუმენტურთან ერთად, თავისთავად გამკვეთრდა მისტიკური ფონი, ძალდაუტანებლად იჩინა თავი დეტექტიურმა ნაკადებმაც... და რომანი სხვა კი არაფერია!..

— ამ ყაიდის რომანი ქართულ სინამდვილეში არც დაწერილა.

— განსხვავებით ლინგვისტური რომანებისგან — თედო სახოკიასა თუ გიორგი შატბერაშვილის თხზულებებს ვგულისხმობ, ჩემამდე ლექსიკონი რომ ერქვა ერთსაც და მეორესაც და არა ლინგვისტური რომანები, რაც სავსებით შეჰფერით და ასეც განვსაზღვრავთ, დასავლურ სალიტერატურო ცხოვრებაში როდესაც ჩავრთავთ, და დარწმუნებული ვარ, ჯერ მარტო ამით რომ გამოიწვევს დიდ აღტაცებას ორივე ქმნილება ევროპულ და ამერიკულ სალიტერატურო წრეებში.

— ეს ყოველივე სავსებით გაქვთ დასაბუთებული თქვენს ბიოგრაფიულ რომანებში თედო სახოკიაზე — „მოციქული“, და გიორგი შატბერაშვილზე — „ტივისხე“, რომელიც კიდევ ერთი ნიმუშია თქვენი შარშანდელი ათწიგნეულისა.

— თავდაპირველად „ტივისხე“ ბიოგრაფიულ რომანად არ ჩამიფიქრებია, ბიოგრაფიული ნატეხების ციკლისათვის ვვარაუდობდი და წერას რომ შევუდგებოდი, ქვესათაურად ასეც მივაწერდი, რაკიღა სამ თაბახზე მეტი არ უნდა ყოფილიყო, უმთავრესად ბონდო არველაძის მიერ საიდუმლო არქივში მოძიებულ მასალებს რომ ვეყრდნობოდი, მისი წიგნის ქარგად უკვე ქცეულს, მაგრამ ვაპირებდი გიორგი შატბერაშვილის დაპატიმრება-გადასახლება-შინაპატიმრობის ამბებთან ერთად არაერთი სხვა ეპიზოდიც ჩამერთო თხრობაში, რომელთა რაოდენობაც ჩემდაუნებურად გაიზრდებოდა, გაიზრდებოდა და... ის, რაც ბიოგრაფიული ნატეხები უნდა ყოფილიყო, ბიოგრაფიული რომანის ერთ ნაწილად გადაიქცეოდა, კიდევ ორი ნაწილი რომ ამოუდგებოდა გვერდით.

— სევდით იხსენებთ ხოლმე გიორგი შატბერაშვილის უკანასკნელ სადღეგრძელოს.

— ეს ჩემს დაბადების დღეზე მოხდებოდა, ძია გიორგი რომ ითამადებდა და ბოლოში იმ კაცის სადღეგრძელოს შესვამდა, რომელიც მეგობართა ამ წრიდან პირველი გადავიდოდა იმსოფლად... ორ კვირასაც ვერ იცოცხლებდა მას შემდეგ...

— გულმა უგრძნო თუ რა?!.

— უთუოდ გული უგრძნობდა რაღაც ავბედითს, თორემ ასეთი რამ მანამდე არასოდეს ეთქვა, სხვათა შორისაც არ ჩაურთავს სადღეგრძელოში, არამცთუ ცალკე აეწია ეს წინასწარი შესანდობარი...

— შემძვრელია რომანის ფინალური

მონაკვეთი, გიორგი შატბერაშვილის აღსასრულის აღწერა, და საერთოდაც მკვდრის მზის ხატება, ამ მწერლის მიერ დამკვიდრებული ჩვენს ლიტერატურაში, ისედაც ღრმა სიმბოლური განზოგადება ჩვენი საზოგადოებრივი ცნობიერების თანამდევად რომ აქცია, საჯილდაო ქვის სიმბოლიკისა არ იყოს.

– თანდათანობით რომ ვალაგებთ ტრაგიკული ჟამის ქართულ ლიტერატურას და გამოვაცალკევებთ მონაპოვარსაც და ზნეობრივ გმირობებსაც, გიორგი შატბერაშვილსაც უნდა დათმობოდა თავისი ღირსეული ადგილი ჩვენი სამწერლო ცხოვრების მოწესრიგებისას, როგორც ერთ-ერთ ორიენტირს წარსულის გააზრებისასაც და მომავლისაკენ თავდაჯერებით და იმედოვნებით სვლისასაც.

– მერაბ კოსტავას ცხოვრების ქრონიკაც – „ძენი მუსიკის, დღენი ქარიშხლის“ – თავდაპირველად ბიოგრაფიულ ნატეხებად გქონდათ განზრახული, როგორც ამ რომანის წინასიტყვაობიდან იგებს მკითხველი, და თანდათანობით გადაგექცათ რომანად. იმასაც ამბობთ, რომ კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსის რჩევისა თუ თხოვნის კვალობაზე შეიქმნა ეს წიგნი.

– კონსტანტინეს გულს აკლდა, რომ ზვიად გამსახურდიასადმი მიძღვნილ ბიოგრაფიულ რომანში – „ეკლის გვირგვინი“ – საგანგებოდ არ გახლდათ გამოკვეთილი, ეს ორი მეგობარი პოლიტიკაში მუსიკიდან, ხელოვნებიდან, რელიგიიდან რომ მოვიდოდა, ლიტერატურიდან ხომ – თავისთავად. და შემომთავაზება, სწორედ ეს ქარგა შემერჩია მომავალი წიგნისთვის, რომელიც მიეძღვნებოდა მერაბ კოსტავას და ხელსაყრელი საშუალებაც იქნებოდა ამ იდეის გამოსაკვეთად. დაე, ნუ იქნებოდა ეს წიგნი დიდი და სწორედაც ბიოგრაფიული ნატეხების მოცულობაში ჩატეულიყო.

– „ეკლის გვირგვინი“ რომ შეგევსოთ ამ მხრივ?

– ვრცლად გაშლა თემისა ამ რომანის კომპოზიციურ სტრუქტურას რამდენადმე დაარღვევდა, ზედაპირული გადაქროლებით კი ცოდვა იქნებოდა. და ასე შევუდგებოდი წიგნს მერაბ კოსტავაზე, ჩემდა მოულოდნელად რომანადაც რომ გადაიჭიმებოდა, მაგრამ საკმაო მასალა დამიგროვდებოდა და რატომ უნდა მიმეტოვებინა უნუგეშოდ?!. ძალიან ამომიდგებოდა გვერდით ვახტანგ ბახტაძე, და მერაბ კოსტავას მემორიალური მუზეუმი, მისი ყველა თანამშრომელი ციცინო მაღლაფერიძიდან დაწყებული. სხვათა შორის თავიანთ სიხარულს იმითაც გამოხატავდნენ, რომ სამუშაოდ მომიჩენდნენ მერაბის საწერ მაგიდას, სადაც გადავიკითხავდი და შევარჩევდი მერაბის სტატიებსა თუ პირად წერილებს შინ წამოსაღებად და დასამუშავებლად.

– წარმომიდგენია, როგორ იმოქმედებდა თქვენზე, მერაბ კოსტავას სკამზე რომ იჯდებოდით და მის მაგიდაზე დაწყობილ სტატიებსა თუ სხვა დოკუმენტურ მასალებს იქ გადაათვალიერებდით.

– ასეთი რამ მძაფრადაც მოქმედებს შენს განწყობილებაზე, კიდეც გამხნევებს და გაგულიანებს. ის კი არა, ერთხელ, როდესაც წერას ვეღარ ვაგრძელებდი, სასწრაფოდ მივვარდებოდი ამ მუზეუმში და მერაბის მაგიდასთან დაჯდომის უფლებას ვითხოვდი. მიმიწვევდნენ და მკითხავდნენ: ახლა რა მასალები მოგიტანოთო? – არაფერი-მეთქი, – მივუგებდი, – ოღონდ ცოტა ხანს აქ ვიჯდები, თუ შეიძლება. – რამდენ ხანსაც გნებავთო, – უარს ვინ მეტყოდა. და ერთბაშად ვიგრძნობდი თუ არა, კვლავინდებურად როგორ მომივლიდა წერის ჟინი, კიდეც გამოვეჩქარებოდი შინ.

– ძალიან დაგჯაფავდათ ეს ვეება წიგნი.

– ძალიან.

– და როგორღა მოხდა, რომ მალე-ვე წამოიწყეთ აკაკი წერეთლის ცხოვრების ქრონიკა: „ხან მიწისა და ხან ცისა“?

– ეს ის შემთხვევაა, თავს რომ არ უტყდები, ამხელა საქმის წამოწყებას თუ აპირებ.

– და... რანაირად?

– ერთბაშად ამ ტვირთის წამოკიდებას ვერ გავბედავდი, თუმც ზურგსუკან 23 ბიოგრაფიული რომანი მეგულებოდა. თავს ჩავაგონებდი, თითქოს მარტოდენ ერთი მონაკვეთი უნდა დამეწერა და შემენახა, ვიდრე ნაწილ-ნაწილ და დროდადრო შევავსებდი და... საკმაოდ რომ დამიგროვდებოდა ფურცლები, მაშინღა გამემეჯლავნებინა თავისათვის, აკაკის ცხოვრების ქრონიკა მაქვს ასაზიდი-მეთქი.

სხვათა შორის, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის კრებულისათვის რომ დამიკვეთდა ირმა რატიანი რაიმე ნარკვევს აკაკიზე და „ბაში-აჩუკს“ შევარჩევდი, კინოსამზერიდან გააზრებულს, უკვე მაშინ ჩავითქვამდი, ერთგვარად შევსებული სახით მომავალში შესაქმნელი ბიოგრაფიული რომანის ერთი თავი რომ შეიძლება ყოფილიყო; და როდესაც ირაკლი ჯავახაძე შემომთავაზებდა, დამეწერა რაიმე „ქართული გაზეთისათვის“– აკაკის საიუბილეო ნომრისათვის, იმ ესეისაც მომავალი რომანის შესავლად ვიგულისხმებდი. ხოლო როცა აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციისთვის – ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების თაოსნობით რომ გაიმართებოდა ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში – მოვამზადებდი შტრიხებს აკაკის ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური პორტრეტისათვის, მასაც რომანის ნაწილად ჩავიფიქრებდი, ოღონდ ისე მოხდებოდა, რომ დაწერას ვერ მოვასწრებდი და კონფერენციაზე ზეპირად გამოვიდოდი უმთავრესად იმ ფსიქოლოგიური შტრიხის წარმოსაჩენად, ბავშვური ფანტაზიები აკაკის მთელი სიცოცხლე რომ გაჰყვებოდა.

და აი, „ძენი მუსიკის, დღენი ქარიშხლის“ რომ მოთავდებოდა, გადავწყვეტდი იმ – ამდენ ხანს გაჭიანურებული – ნარკვევის დაწერას – მასაც მომავალი რომანის ნაწილად. ამასობაში აკაკის ბავშვურ ფანტაზიებს ძალდაუტანებლად გადაეჭდობოდა ბავშვებთან მისი ურთიერთობა და... კიდეც მივხვდებოდი, რომ გამჩერებელი აღარ ვიყავი. რომანის უღურს აგვისტოში გავტეხდი, მთელი არსებით რომ ჩავაკვდებოდი, და თუმც წინ რამდენიმე თვე იდებოდა მის მოსათავებლად, უკვე მეცოდინებოდა და 24-ე ბიოგრაფიული რომანი „ხან მიწისა და ხან ცისა“ იქნებოდა.

– ახალი ოცდაოთხეულის დაწყებას მაინც როდის ეპირებით და ვის ვარაუდობთ იმ რომანის გმირად?

– ვვარაუდობ კი არა, უკვე მოთავებულია „მზისშვილი“ – გრიგოლ რობაქიძის ცხოვრების ქრონიკა.

– რას ამბობთ?!.

– თუ გნებავთ, ნუ დამიჯერებთ.

– რას მეუბნებით, როგორ თუ არ დაგიჯერებთ... უბრალოდ, გაკვირვება გამოვხატე. ისე გამოდის, 2018 წლის სერიას თქვენი ახალი წიგნებისა ეს რომანი გახსნის.

– სერია უკვე გახსნილია, ოღონდ არა ორიგინალური თხზულებით, არამედ პაატა ჩხეიძესთან ერთად შესრულებული პოეტური თარგმანით ძველი ინგლისური ეპოსისა „სერ გევეინი და მწვანე რაინდი“, უცნობმა ავტორმა რომ შექმნა და ჯესი ვესტონმა გადმოიტანა ახალ ინგლისურზე, რასაც ვეყრდნობით ქართულად მისი ამეტყველებისას. სხვათა შორის ეს ეპოსი მეფე არტურის მრავალგანშტოებიანი ციკლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

– შარშანდელი ათწიგნეულის ერთ-ერთი ნიმუშიც აკი პაატა ჩხეიძესთან ერთად თარგმნილი კრებულია: ტომას სტერნზ ელიოტის „საღვთო ტყე“ – ესეები პოეზიასა და კრიტიკაზე.

– ადრე აკი ათი ესეისაგან შემდგარი კრებულიც გამოვეცით ელიოტისა, რომელიც მიგვაჩნია იმ მოაზროვნედ, რომლის ესეისტიკაც თავით ბოლომდე უნდა იყოს გადმოღებული ქართულად და ჩვენი მხრივაც შევეცდებით, კვლავაც შევძინოთ ახალ-ახალი ნიმუშები ქართულ ელიოტიანას.

– თქვენი ერთობლივი ნამუშაკევიდან კიდევ რას უნდა ველოდეთ უახლოეს ხანს?

– მოდი ეს ყოველივე მერმისისთვის გადავდოთ, როდესაც ჩემი წიგნების წლევანდელ სერიასაც გადავავლებთ თვალს, თუკი არ მოგბეზრდებათ ამ გამოცემებისთვის თვალის მიდევნება.

– რომ არ ვიცოდე, ხუმრობთ, მეწყინებოდა.

– ვხუმრობ ცხადია... და ბარემ ღიმილითვე მოვათავოთ ეს სახელდახელო გასაუბრება.





ეკრანზე ჩამომდინარი შარდი

პრეზიდენტი მოდის!!!

„რუსთავი-2“-მა ახალი სიურპრიზი მოგვიმზადა სამშაბათ საღამოს შხამგადაცემა „არჩევანში“.

მაინც რა იყო, ეს, ა!

ორი ბნელეთის მოციქულის ნიკა გვარამიასა და გიორგი გაბუნიას ერთობლივი შემოქმედება, ორი ავადმყოფი გონების კოლექტიური ნაწარმი! თანაც რა მორგებულად ჩართეს ექსპრეზიდენტ სააკაშვილის სულის ძახილიც?!

გაბუნიამ პირდაპირ გაქნილი პროვოკატორის სიმარჯვით მოარტყა შარდის ვიდეოეპიზოდი თავის პროგრამულ თემას.

ვიდეოზე გადაუღიათ ვინმე ჩაგრული მარნეულელი კაცი, რომელიც მიტინგზე (პარლამენტის წინა მოედანზე ზაზა სარალიძის მხარდამჭერ მიტინგზეა ლაპარაკი) მიკროფონით ხმამაღლა აგინებს მარნეულის მერს და ბიძინა ივანიშვილს, „სიტყვის მასალად“ კი არა, სიტყვასიტყვით ასე: „მარნეულის მერის ამისა და იმის ცოლი მოვ...ან და ბიძინა ივანიშვილის ცოლი მოვ...ნო.“

ვიდეოზე არ ჩანს მიტინგი ტაშით შეხვდა თუ არა ამ „თავისუფალ“ სიტყვას, სამაგიეროდ შემოგვთავაზეს ამ ამბის „ლოგიკური“ გაგრძელება.

მარნეულში დაბრუნებულ იმ კაცს თურმე მერი ერთობ გლახად დახვედრია: როგორ თუ იმდენ ხალხში ცოლი შემიგინეო, სრულიად სამართლიანად მიუბეგვია, ბოდიში მოუხდევინებია და მერე საზიზღრად „უწამებია“ – ჭიქაში ჩაუშარდვინებია და უიძულებია სახე იმით ჩამოებანა.

ეს „წამება“ ვიდეოზე ვიხილეთ, ოღონდ ის არ ჩანდა, მართლა ჩააშარდა იმ გვემულმა კაცმა ჭიქაში თუ იმ ჭიქაში ლიმონათი ესხა და სახე იმით „მოიბანა“.

ის კი აშკარაა, რომ რისი თქმაც უნდოდათ (რაღაც მნიშვნელოვანის!) ამ სახელდახელოდ შექმნილი „მამხილებელი“ დოკუმენტური „ფილმის“ ავტორებს, ის ვერ თქვეს. მაყურებელი ვერ გაანწყვეს იმ „ნაცემი“ კაცის მხარდასაჭერად.

ᲐᲠ ᲛᲔᲒᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ (ᲛᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ ᲚᲝᲙᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲥᲕᲔᲛᲝ ᲥᲐᲠᲗᲚᲨᲘ) ᲔᲠᲗᲘ ᲙᲐᲪᲘᲪ ᲙᲘ, ᲕᲘᲜᲪ ᲨᲔᲛᲒᲘᲜᲔᲑᲔᲚᲡ ᲓᲐᲣᲭᲔᲠᲡ ᲛᲮᲐᲠᲡ ᲓᲐ ᲗᲣ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲡᲪᲔᲛᲐ, ᲛᲪᲔᲛᲔᲚ ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲡ ᲒᲐᲐᲛᲢᲧᲣᲜᲔᲑᲡ.

მე პირადად რაც იმ ვიდეოზე ვნახე, გადაბრუნებული ტვინების მქონე ადამიანების უნიჭოდ დადგმული სიყალბე მგონია.

ახლა როგორ მიაბეს ამ „ვიდეომხილებას“ ექსპრეზიდენტის „ცინცხალი“ გამოხმაურება?

რა სიტყვები იძახა, რა სიბინძურის გოდორი დადგა უბადრუკმა სააკაშვილმა!

და ამის შემდეგ უნდა გაგიკვირდეს, რომ ნაციონალურ მოძრაობას სულ უფრო და უფრო უკან მისდის საქმე, რომ რეიტინგს და ავტორიტეტს განუხრელად კარგავს და პირთამდე სავსე, მოზიმზიმე მიტინგი მათს გამოჩენაზე უმალ ცარიელდება წყალჩასხმული საცერივით?

ამიტომაც არის საცნაური, რომ ექსპრეზიდენტი უკვე სასაციოლოდ არის ქცეული, რომ მის სიტყვას თვით მისი მოციქულებიც აღარ უსმენენ და არავის მისი არ სჯერა!

არადა, როგორ „აიმედებდა“ მსმენელს თავისი საქართველოში უეჭველი ჩამოსვლით და სამართლიანობის აღდგენით!

რატომ ღმერთი არ გაიცინებს!

ჯერ ერთი, რისი ჩამომსვლელია, (ან ვინ ელოდება აქ) და მეორე, რის სამართლიანობის აღმდგენია ეს ყოვლად უსამართლო, უზნეო, ყველაფერში გაკოტრებული კაცი.

პოლიტიკური ძალა მის იმედად რომ იქნება, იმ პოლიტიკურ ძალას რაიმე ავტორიტეტული შეიძლება ჰქონდეს?

და ვაინაჩრობენ ნაცები „გოდოს“ მოლოდინში, ვითომ პოლიტიკურად აქტიურობენ, ვითომ აქციებს აწყობენ. სადმე თავშეყრილ ადამიანებს თუ მოკრავენ თვალს, უმალ იქ გაჩნდებიან და მიკროფონს იტაკებენ პირში! ამაოდ ელით სასწაულს, არ გამოგივათ ეგ ამბავი შენ ნიკანდრო მელია და შენს მოცვეთ ბიჭებს!

ერთიც. იმ დღეს, „ვიდეომხილებისას“, გაბუნიას სამი ჩამოწერილი „ცნობადი სახე“ შეეკრიბა ეკრანზე – არმაზ ახვლედიანი, გია ბუღაძე და პუბლიცისტი თაკო ჩარკვიანი.

რაც შეეძლოთ, გაისარჯნენ არხის სტუმრები, აგინეს და აფურთხეს ხელისუფლებას, წყევლეს და მოასოდომგომორეს, „პუბლიცისტმა“ თაკომ ჩვეულებისამებრ რაც შეეძლო, იწიკვინა და კიდევ ერთხელ მიაღწიეს იმას, რომ სერიოზულად ჩააფიქრეს მაყურებელი, სჭირდება ეს მტრული, არავითარი დადებითის ჯიუტად არ დამნახავი არხი – ნამდვილად პანდორას ყუთი ქვეყანას?

არა, ნამდვილად არ სჭირდება!

სანდრო ალექსიძე

როგორ იყენებს ირანი რელიგიას საქართველოზე გავლენის მოსაპოვებლად

არაბთა გაერთიანებულ ემირატებში გამომავალი გამოცემა „Al Arabiya“, პოლიტოლოგ ალი გაჯიზადეს სტატიას აქვეყნებს, სადაც საქართველოს შესახებაა საუბარი.

მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ანალიტიკური ცენტრები ბევრს წერენ ირანის ექსპანსიონისტურ პოლიტიკაზე ახლო აღმოსავლეთში. რა თქმა უნდა, ირანის ჰეგემონისტური ტენდენციები სერიოზულ შეშფოთებას იწვევს და ღრმად უნდა იქნეს შესწავლილი. მაგრამ ძალიან ცოტა გაზეთი ან კვლევითი ორგანიზაცია თუ წერს იმაზე, თუ როგორ მატულობს ირანის ჩარევა სამხრეთ კავკასიის რეგიონში, სადაც სამი მნიშვნელოვანი პოსტსაბჭოთა სახელმწიფო მდებარეობს: საქართველო, რომელსაც რთული ურთიერთობები აქვს რუსეთთან და იმავდროულად ევროპული ინტეგრაციის გზაზე დგას; სომხეთი, რომელიც რუსეთისა და ისრაელის მოკავშირეა (საქართველოსა და სომხეთის მოსახლეობა ძირითადად ქრისტიანები არიან) და აზერბაიჯანი, სადაც ირანის შემდეგ ყველაზე მეტი მუსლიმანი შიიტი ცხოვრობს.

მისიონერული გავლენა

სამხრეთ კავკასიის რეგიონის ყოველი ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყანა თეირანისთვის განსაკუთრებულ ინტერესის ობიექტს წარმოადგენს. ამასთან, ირანის ხელისუფლება სამხრეთ კავკასიაში შედარებით უფრო ფრთხილად და შერჩევით მოქმედებს, ვიდრე ახლო აღმოსავლეთში და ამას თავისი მიზეზები აქვს.

ამ სტატიაში განხილულია ირანის მიდგომები საქართველოს მიმართ, რომელიც სამხრეთ კავკასიის პატარა ქვეყანას წარმოადგენს. 2014 წლის ოფიციალური მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობა (იმ ტერიტორიების ჩაუთვლელად, რომლებსაც თბილისი ვერ აკონტროლებს), 3,7 მილიონ ადამიანს შეადგენს. ამ ქვეყანაში ძირითადად ორი მულიმანური თემი ცხოვრობს: აზერბაიჯანელები (სამხრეთ საქართველოში) და აჭარელთა ნაწილი (აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში), რომლებიც გამუსულმანებული ქართველები არიან.

საქართველოში ირანის დაინტერესებას იწვევს იქ მცხოვრები აზერბაიჯანელები, რომელთა უმრავლესობა შიიტურ მიმდინარეობას აღიარებს (უფრო მცირე ნაწილი სუნიტები არიან). საყურადღებოა, რომ აზერბაიჯანელებს საქართველოს მოსახლეობაში, ეთნიკური თვალსაზრისით, რაოდენობით მეორე ადგილი უკავიათ, ქართველების შემდეგ.

ბოლო ათი წლის განმავლობაში ირანის გავლენა ბორჩალოში (აზერბაიჯანელთა კომპაქტური დასახლების რეგიონში) აშკარად შესამჩნევია. ზოგიერთი ქართველი და აზერბაიჯანელი ექსპერტი სერიოზულადაა შეშფოთებული ირანის მისიონერული და პროპაგანდისტული საქმიანობის შედეგებით: დღეს სუნიტ აზერბაიჯანელებს საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა აქვთ შიიტ აზერბაიჯანელებთან, რომლებიც ისლამის ირანული ვერსიის ერთგულები არიან. ირანის გავლენა უმთავრესად ვლინდება სხვადასხვა უფასო ღონისძიებებში – ტრენინგების ჩატარებაში, სკოლების გახსნაში, ახალგაზრდების გაგზავნა სასწავლებლად ირანში (რელიგიური განათლების მისაღებად), პროირანული სარეკლამო ლიტერატურის გავრცელებაში (მათი ნაწილი აზერბაიჯანშიც იგზავნება), სხვადასხვა პროირანული ორგანიზაციების (Ahl ul-Bayt, Alul Bayt, Ali Hikmet და ა.შ.) საქმიანობის დაფინანსებაში და იმ ღონისძიებების გამართვაში, რომლებიც აშურას უკავშირდებიან.

საყურადღებოა, რომ ირანიდან ჩასული რელიგიური მქადაგებლები ყოველთვის არ ეწევიან მშვიდობის ქადაგებას. მათი რაოდენობა საქართველოს აზერბაიჯანელთა მეჩეთებში თანდათან იზრდება: 2011 წლიდან ირანელი რელიგიური მსახურების რაოდენობა და მათი მისიონერული საქმიანობა ქართველ შიიტებში მკვეთრად გააქტიურდა. გარდა ამისა, ირანის მიმართ არის ეჭვი, რომ თეირანი საქართველოს ევროპაში ნარკოტიკების გადასატან მარშრუტად იყენებს.

აქტიურად მოქმედებენ აგრეთვე პროირანული საიტები ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე, მაგალითად – ahlibeyt.ge, mgeo.ge. ეს ორი ვებ-საიტი დარეგისტრირებულია ქართულ დომენურ ზონაში და ორივე დაბალხარისხოვანია (რაც სამხრეთ კავკასიაზე გამიზნული პროირანული პროპაგანდისტული საიტების საერთო სენია), თუმცა აგიტაციას მაინც ეწევიან.

საქართველოს ხელისუფლება ირანთან კოპორტაში?

საინტერესოა საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულება ზემოთ ჩამოთვლილი პროცესების მიმართ: აშკარაა, რომ ირანი ისე ვერ შეძლებდა ამგვარი საქმიანობის გაშლას, ოფიციალური თბილისის ჩუმი თანხმობა რომ არ ყოფილიყო. ნიშანდობლივია, რომ 2011 წელს საქართველოს ხელისუფლების (წაყრუებით ან თანხმობით) დაარსდა „საქართველოს მუსულმანთა კავშირი“, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციად ითვლება. მისი მიზანია „ქვეყანაში არსებული ისლამური თემებისა და მეჩეთების მონიტორინგი“.

აღსანიშნავია, რომ მანამდე მეჩეთები ფორმალურად კავკასიის მუსულმანთა სამმართველოს (ცენტრით ბაქოში) პატრონაჟის ქვეშ იმყოფებოდნენ. ბაქოში ეს ნაბიჯი ნეგატიურად შეაფასეს – ოფიციალური თბილისი აზერბაიჯანის მუსულმანებისა და საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელი მუსულმანების შორის განხეთქილების ჩამოგდებას ცდილობსო.

აშკარაა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ აღნიშნული ნაბიჯი იმიტომ გადადგა, რომ აზერბაიჯანის გავლენა შეემცირებინა ადგილობრივ (ბორჩალოელ) აზერბაიჯანელებზე და კავკასიის მუსულმანთა სამმართველოს ავტორიტეტი შერყეულიყო. თუმცა არ უნდა დავივიწყოთ, რომ ძველი ზომიერი აპოლიტიკურ კლირიკთა (რელიგიის მსახურთა) შეცვლამ ირანის ინტერესების გამტარებელი „ცოფიანი“ აპოლოგეტებით შეიძლება ისეთი პრობლემები წარმოქმნას, რომლებიც საქართველოს სტაბილურობას მომავალში საფრთხეს შეუქმნის.

ირანელი თუ პროირანელი რელიგიის მსახურებისაგან განსხვავებით, აზერბაიჯანის შიიტური სასულიერო პირები არასოდეს არ გამოსულან ანტისემიტური, უკიდურესად რადიკალური და ექსტრემისტული პოლიტიკური მოწოდებებით. ვფიქრობთ, რომ ირანის აქტიური მისიონერული საქმიანობა ევროპასთან ინტეგრაციის მსურველ საქართველოსთვის მაინცდამაინც სიკეთის მომტანი არ უნდა იყოს. 2017 წლის მარტში საქართველოს მოქალაქეებს ევროკავშირში (შენგენის ზონაში) უვიზოდ შესვლის უფლება მიეცათ. ცხადია, ამ უფლებით სარგებლობა საქართველოს იმ ადამიანებსაც შეუძლიათ, რომლებიც ირანის პროპაგანდის გავლენის ქვეშ არიან მოქცეულნი და რომლებმაც რელიგიური განათლება ირანში მიიღეს. ეს ძალზე შემაშფოთებელია. არსებითად, ეს ნიშნავს, რომ ევროკავშირში ირანის აგენტებს თავისუფლად გადაადგილება შეუძლიათ. და თუ თბილისი ამაზე თვალს ხუჭავს, ვფიქრობ, დასავლეთმა ამ ფაქტს სერიოზულად უნდა შეხედოს.

სანქციების დარღვევა საქართველოს მეშვეობით

თეირანს საქართველო კიდევ იმისთვის აინტერესებს, რათა ე.წ. „შავი ხვრელით“ ისარგებლოს, საერთაშორისო სანქციებისაგან თავის არიდების მიზნით. პირველი სანქციების შემოღების შემდეგ ირანის ხელისუფლებამ მთელი ინფრასტრუქტურა შექმნა, რომლებიც რამდენიმე ქვეყანაში მოქმედებენ და იქაურ არხებს იყენებენ ემბარგოს გვერდის ავლისათვის. ერთ-ერთი ასეთი ქვეყანა სწორედ საქართველოა.

ირანის ეკონომიკური ექსპანსიის საკითხი სამხრეთ კავკასიაში არც ისე მარტივია. დასავლეთის გარკვეულ წრეებში არის ისეთი განწყობა, რომ ირანი და რუსეთი მოკავშირეები არიან, მაგრამ ეს სინამდვილეში მთლად ასე არ არის. რუსეთისთვის ხშირად დიდად სასიამოვნოა არაა ირანთან თანამშრომლობა, ცდილობს, გაემიჯნოს მას და რიგ საკითხებში თეირანის მარგინალიზებას ახდენს. მოსკოვ-თეირანის კონკურენციის ერთ-ერთ ასეთ რეგიონს სწორედ სამხრეთი კავკასია წარმოადგენს. არსებითად, დღეს რუსეთი ცდილობს, ირანი მსხვილ ეკონომიკურ პროექტებში არ დაუშვას.

მთლიანობაში ირანის საქმიანობა საქართველოში – როგორც ეკონომიკური, ასევე მისიონერული თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ ირანის სტრატეგიის კონტექსტში, რომელიც რეგიონში და მსოფლიოში მისი გავლენის გაძლიერებას გულისხმობს.

„Al Arabiya“
მოამზადა „ნიუპრესმა“

რუსეთში სმარტფონები და ნოუთბუქები არ წაიღოთ – აშშ-ის კონტრდაზვერვა

აშშ-ის კონტრდაზვერვის ოფიცერი უილიამ ევანინა ამერიკელებს ურჩევს, რუსეთში ფეხბურთის ჩემპიონატზე დასასწრებლად გამგზავრებისას თან ელექტრონული მოწყობილობები, ტელეფონები, ნოუთბუქები თან არ წაიღონ. ისინი შესაძლოა, რუსეთის მთავრობასთან დაახლოებული ხაკერების თავდასხმის ობიექტები გახდნენ, რის გამოც მათი პერსონალური მონაცემები რუსული სპეცსამსახურების ხელში აღმოჩნდება. „თუ თქვენ გეგმავთ, თან წაიღოთ მობილური ტელეფონი, ნოუთბუქი ან სხვა მოწყობილობა, გაფრთხილებთ, არ დაუშვათ შეცდომა, ამ მოწყობილობების ნებისმიერი მონაცემი, განსაკუთრებით თქვენი პირადი ინფორმაცია, შესაძლებელია, რუსეთის მთავრობის ან კიბერდამნაშავეების ხელში აღმოჩნდეს, ყველაზე დიდი რისკის ქვეშ თანამდებობის პირები არიან, თუ თქვენ გჭირდებათ ტელეფონი, აიღეთ სხვა, რომელსაც არ ხმარობთ და როცა არ ხმარობთ აკუმულატორი ამოიღეთ“, – განაცხადა ევანინამ. სააგენტოს ცნობით, წყარომ მათ გაანდო, რომ ანალოგიური რეკომენდაცია დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურებმაც გაავრცელეს.

პოლონეთში აშშ-ის მუდმივი სამხედრო ბაზა შეიქმნება

პოლონეთის თავდაცვის მინისტრმა მარიუშ ბლაშაკმა პოლონური რადიოს ეთერში განაცხადა, რომ პოლონეთი ქვეყანაში აშშ-ის მუდმივი სამხედრო ბაზის განთავსებას აპირებს. „ჩვენ ამისკენ მივისწრაფით, ეს პოლონეთისა და პოლონელების უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვანია“.

მაკედონიას სახელი გადაერქვა

მაკედონიას ახალი დასახელება რესპუბლიკა ჩრდილოეთ მაკედონია იქნება, ამის შესახებ ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ზორან ზაევმა განაცხადა. ზაევმა თავის ბერძენ კოლეგასთან ალექსის ციპრასთან სატელეფონო საუბარი გამართა, სადაც მიაღწიეს შეთანხმებას რესპუბლიკის კონსტიტუციური დასახელების თაობაზე, რაც გაუხსნის გზას სკოპიას ევროკავშირსა და ნატოში გაწევრდეს. ციპრასმა ასევე დაადასტურა, რომ სკოპიასთან შეთანხმება მიღწეულია. ათენმა მაკედონიას ევროკავშირში გაწევრებას პრობლემები შეუქმნა, საბერძნეთმა სახელის გადარქმევა მოითხოვა, რომ არ მომხდარიყო ქვეყნის ბერძნულ ოლქთან არევა.

◎ გამოფენა – კულტურული შოკი

შუაღამით აფეთქებული სიჩუმე – შეთქმულების ელფერი

6 ივნისს თბილისის ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში გამოჩენილი ქართველი მხატვრის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის ნათელა იანქოშვილის (1918-2007 წწ.) გამოფენას დავესწარი...

მისი შემოქმედების შემყურე უამრავი დადებითი ემოციითა და შთაბეჭდილებებით დახუნძლული სრულიად ახალ, განსხვავებულ და გასაოცარ სამყაროში მოვხვდი... იმ სამყაროში, საიდანაც რთულია რეალობაში დაბრუნება. ეს იყო სრული კულტურული შოკი! ძნელია დაიჯერო, რომ ამ საქმეში ადამიანის ხელი ერიოს, არადა, ადამიანმა



დახატა! მის ნამუშევრებში არის აზრი, ფართო ემოციური პალიტრა, ჰარმონია და სიყვარული. მათგან იღვრება სიკეთე და ენით აუწერელი ჰარმონია. ეს იყო მხატვრის შინაგანი მოგზაურობის დინამიკური პროცესის შესანიშნავი ილუსტრაცია: ხშირად განმეორებული ქალის გამოსახულება თვითშემეცნების ნიუანსებითაა აღბეჭდილი და ავტორის შინაგან პოტრეტს ეხმიანება.

2018 წელი მნიშვნელოვანია იმით, რომ ამ წელს ორი დიდი მხატვრის – ნიკო ფიროსმანაშვილისა და ნათელა იანქოშვილის საიუბილეო თარიღებია: ნიკო ფიროსმანაშვილის გარდაცვალების 100 და ნათელა იანქოშვილის დაბადებიდან 100 წელი სრულდება. თითქოს სიმბოლურიაო, ფიროსმანის სულიერი მემკვიდრის, ფერწერის დიდოსტატის ნათელა იანქოშვილის იუბილე თვითნასწავლი გენიოსისა და უბადლო შემოქმედის თარიღს დამთხვეოდა. თითქოს მრავლისმეტყველიც არის... მაგრამ ახსოვთ კი მავანთ დღეს უბადლო ქართველი მხატვარ-პორტრეტისტი და პეიზაჟისტი, რომელსაც ფიროსმანის შემდეგ „მომავლის მხატვრადაც“ მოიხსენიებენ და სწორედ უცხოელები მსოფლიოს დიდ მხატვართა შორის ასახელებენ?! დიახ, ეს რეალობაა – ორ ათასზე მეტი ნამუშევრის ავტორ ქართველ პორტრეტისტს, პეიზაჟისტსა და გრაფიკოსს გენიალურობით ფიროსმანასაც ადარებენ და გოგენის, მატისისა და პიკასოს გვერდით ახსენებენ.

ვფიქრობ, ნათელა იანქოშვილი ჩვენი ქვეყნის ხელოვნებისთვის ნამდვილად დიდი საგანძური და მონაპოვარია. ის ნამდვილად გენიალური მხატვარია... უყურებ და შეუძლებელია მის ხაზს არ გაჰყვე, ძნელია, სუნთქვა არ შეგეკრას, და არ გაირინდო გაოცებისგან. მის ფერწერას უნდა გაჰყვე, დატკბე და კომენტარი არ გააკეთო... თვალწარმტაცია მისი ნამუშევრის პირველი აღქმა, ის აუცილებლად ჩაგითრევს თავის წიაღში. დიდი სიყვარულის მორევი – ეს არის ჩემთვის ნათელა იანქოშვილი! მისი შემოქმედება ძალიან მომწონს იმიტომ, რომ მას აქვს უსაზღვრო ფანტაზია, ჩუქურთმასავით კვეთს სურათს, ფერწერაში ქმნის ფერწერის დინამიკას, ანუ სამყარო, რომელსაც ფერებით წერს, თავად მხატვარშია – სიმბოლოებით დაშიფრული და ღრმა. მართლაც, ქალბატონ ნათელას ფერწერა გაცილებით მეტს გადმოგვცემს, ვიდრე ეს სიტყვიერადაა შესაძლებელი. მის ნამუშევრებს სრულიად სხვა სამყაროში გადაჰყავხარ. მათ შემყურეს მაშინვე თვალში გეცემა ყველასგან განსხვავებული, ძალიან ინდივიდუალური ხელწერა, რაც მეტ უნიკალურობას სძენს შემოქმედს.

ნათელა იანქოშვილის სიღრმისეული შემოქმედებითი ძიებები სიმბოლოებით დატვირთულ გამოსახულებებად იქცევა, აბსტრაქტული პეიზაჟები კი ემოციურ მდგომარეობათა კომპლექსური სახეებია. კომპოზიციების მეშვეობით მხტვარი ფერწერული სახეების მაქსიმალურ გამომსახველობას აღწევს, ფერადოვანი ეფექტები კი მნახველს შინაგანი ძიების ინტენსივობისა და განცდათა მრავალფეროვანი გრადაციების შესახებ მოუთხრობს. სრულიად სამართლიანად მიიჩნევენ ერთ-ერთ ყველაზე ეროვნულ მხატვრად ქალბატონ ნათელა იანქოშვილს, რომლის შემოქმედებაც საკმაოდ მდიდარია სწორედ ეროვნული მოტივებით. ის თავის შემოქმედებაში წინა პლანზე წამოწევს ძლიერ ეროვნულ შეგრძნებას და სწორედ ამ მხრივ ავითარებს მხატვრულ ძიებებს.

მას მრავალფეროვანი ჟანრისა და სტილის ნახატები აქვს: ფერწერა, გრაფიკა, პორტრეტი, პეიზაჟი,სიმბოლური კომპოზიციები... მის „სახელოსნოში“ბევრი ნახატია, რაც ბევრ ემოციას ნიშნავს. არ იცი, საიდან დაიწყო დათვალიერება. ვერ ხვდები, ეს ნახატი შენს თვალწინ რომ იდგა, ვერ დაინახე და თვალებს აქეთ-იქით აცეცებ. მისი ნახატები თითქოს მოძრაობენ, გეძახიან და გიზიდავენ. შენ ამას ხედავ და გადმოცემულ ემოციას იღებ, იმუხტები.

ნათელა იანქოშვილს „კოლორისტები“ უყვარდა და მისი ფერები მართლაც განსაკუთრებით გამორჩეულია – შავი, მწვანე, წითელი და ყვითელი უნიკალური „ინტერპრეტაციითაა“ შექმნილი. მას ქართული ფსიქოლოგიური პორტრეტების ოსტატსაც უწოდებდნენ, რომლის ფერი ზღვრულად სუფთა და ცხადად ნიუანსირებულია. მხატვარი, ძირითადად, ოთხი ფერის – შავის, მწვანის, წითლისა და ყვითლის – კომბინაციას იყენებს, თუმცა მწვანე და შავი აშკარად დომინირებს მის ნამუშევრებში. დიახ, იანქოშვილის ნახატებში თითქოს მუდამ ღამეა. ღამე, როგორც წესი, აფერმკრთალებს ფერებს, მაგრამ იანქოშვილის ნამუშევრებზე ფერები ყვავის, როგორც სიცოცხლე, რომელიც მათში ასე ექსტაზით ფეთქავს. თუმცა, ეს ღამე, პირველ რიგში, მხატვრული ფენომენია, ხელოვნების იარაღი. ღამე მხოლოდ მოჩვენებითია და შუაღამით აფეთქებულ სიცოცხლეს შეთქმულების ელფერი დაჰკრავს, თითქოს, მხატვარი ბუნებას შეჰკვრია, თითქოს, თვით ღამის მზის ქვეშ აყვავებული ბუჩქებიც კი მის იქ მყოფადობას ამხელენ. ეს ის შეთქმულებაა, რომელიც ყველას და ყველაფერს მოიცავს: ღამეს, სინათლეს, მის უხილავ წყაროს და ასევე, აქ წარმოდგენილ ყველა საგანს, თავისი არსებობის დასტურად, საზეიმოდ გადმოსცემს.

ნათელა იანქოშვილმა მთელი ცხოვრება ფერწერას შესწირა და ჭეშმარიტად ღირებული მემკვიდრეობა დატოვა, რომლის გაცნობა მსოფლიო აუდიტორიას დაარწმუნებს, რომ ქართველმა მხატვარმა პეიზაჟის ხელოვნებას თავისი წილი სიახლე შემატა. ამ გენიალური მხატვრის გატანა და ფართოდ გაცნობა ჯერ კიდევ მომავლის ამოცანად რჩება. ვფიქრობ, აუცილებელია თანამედროვე საზოგადოებას მეტად გავაცნოთ ქალბატონი ნათელა იანქოშვილი, მისი ხელოვნების სიდიადე... მან სხვათაგან მკვეთრად გამორჩეული სახე იპოვა... ქართული პეიზაჟი და, ზოგადად, ქართული მხატვრობა, განსხვავებულ, სრულიად ახალ სიმაღლეებზე აიყვანა და ისე წარმოაჩენს, რომლის ანალოგს მსოფლიო ხელოვნებაში ვერ იპოვით, თუმცა, სამწუხაროდ, ეს 21-ე საუკუნეში ჯერ კიდევ თითქმის დაუნახავი და შეუფასებელია..

მარიამ ადამაშვილი,
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი

ენგურის ტურისტული ზონა 400 000 კაცს მოემსახურება

ენგურჰესის ატრაქციად მოწყობის დეტალური პროექტირება დასრულდა . კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ენგურჰესის ატრაქციად მოწყობის პროექტის სამუშაოები უახლოეს მომავალში დაიწყება.

ენგურჰესის კაშხლის ტურისტული ზონის ინფრასტრუქტურა მოიცავს გადასახედ მოედნებს, საბაგირო გზას, სამეცნიერო და აღმოჩენათა ცენტრს, საკონცერტო სცენას, პარაპლანისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას, სერფინგის ცენტრს, პანორამული ლიფტისა და ელექტროავტობუსის ტურის მოწყობის პროექტს.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით, 2015 წელს ენგურის თაღოვან კაშხალს ეროვნული კატეგორიის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. პროექტის სრულად განხორციელების ვადა 5 წელიწადს მოიცავს.

ტურისტული ზონის სამშენებლო-ინფრასტრუქტურული მოწყობის პროცესის მიმდინარეობისას ადგილზე მუდმივად დასაქმდება 200-მდე ადამიანი.

ენგურჰესის ჰიდროელექტროსადგური უნიკალური ტექნიკური და საინჟინრო ნაგებობების ურთულესი კომპლექსია, რომელიც დაბა ჯვარიდან შავ ზღვამდე, ათასამდე კვადრატულ კილომეტრზეა გადაჭიმული. ჰიდროელექტროსადგურის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია კაშხალი, რომლის საერთო სიმაღლე – 271.5 მეტრი, ხოლო განივი სიგრძე – 728 მეტრია.

წინასწარი გათვლებით, ენგურის ტურისტული ზონა რეგიონში ყველაზე შემოსავლიანი ტურისტული ობიექტი იქნება, რომელიც წელიწადში, სავარაუდოდ, 400 ათასამდე ტურისტს მოემსახურება.

„კომერსანტი“







დღეს რუსეთში მსოფლიოს XXI საფეხბურთო ჩემპიონატი იწყება

ჰა, ბურთი, ჰა, მოედანი!..

სპორტულმა ჟურნალისტებმა და სტატისტიკის მოყვარულებმა ფორუმის წინ შეისწავლეს 32 ქვეყნის საფეხბურთო ნაკრების გარკვეული მონაცემები, ბუკმეკერთა პროგნოზები და ეცადნენ იმის გარკვევას, თუ ვინ დატოვებს ჩემპიონატს ჯგუფური ტურნირის შემდეგ, ვინ კი მერე და მერე თანდათანობით გამოაკლდება მას. მაშ ასე:

„A“ ჯგუფი: **რუსეთი** (ფიფას რეიტინგში მას 66-ე ადგილი აქვს მიჩენილი; მოთამაშეთა ჯამური ღირებულებაა 150 მილიონი ევრო); **საუდის არაბეთი** (67; 23); **ეგვიპტე** (46; 202); **ურუგვაი** (17; 384).

ჩემპიონატი **რუსეთ-საუდის არაბეთის** შეხვედრით გაიხსნება, რომელიც ფიფას რეიტინგის თანახმად, ტურნირის ყველაზე სუსტი გუნდია. მისი მეორე მოწინააღმდეგე – **ეგვიპტე,** გაცილებით ძლიერია, თანაც იქ ინგლისის პრემიერლიგის წლევანდელი სეზონის საუკეთესო მოთამაშე სალაჰი თამაშობს, რომლის წყალობით გუნდი მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვდა.

ურუგვაის ნაკრების დამრტყმელ ძალას კი უდავოდ **კავანი** და **სუარესი** წარმოადგენენ. იმის გამო, რომ სალაჰი ტრავმირებული იყო და მისი სადღეისო პოტენციალი მაინც ბუნდოვანია, ბუკმეკერები ვარაუდობენ, რომ მერვედფინალში **რუსეთი** და **ურუგვაი** გავლენ.

„B“ ჯგუფი: პორტუგალია (4; 486); **ესპანეთი** (8; 1020); **მაროკო** (15; 121); **ირანი** (36; 43).

მართალია, **კრიშტიანუ რონალდუს** ტიტულების უმდიდრესი კოლექციის ყველაზე მთავრით – მსოფლიო ჩემპიონის წოდებით შევსების უნიკალური შესაძლებლობა აქვს, მას თავადაც არ სწამს პორტუგალიის ნაკრების გამარჯვებისა. მისი აზრით, ჩემპიონები **ბრაზილიელები** გახდებიან, რომლებიც ფინალში **ესპანელებს** დაამარცხებენ. ჯგუფის უდავო ფავორიტები **პორტუგალია** და **ესპანეთი** არიან.

„C“ ჯგუფი: საფრანგეთი (7; 1020); **ავსტრალია** (40; 52); **პერუ** (11; 35); **დანია** (12; 265).

საფრანგეთის, დანიისა და ავსტრალიის ნაკრებთა კაპიტნებმა ფიფას თხოვნით მიმართეს, რომ ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად პერუს ნაკრების კაპიტანი **ჰერერო** დაეშვათ, რომლის სისხლში კოკაინის კვალი აღმოაჩინეს. ჯგუფიდან გასვლის მთავარი პრეტენდენტები **საფრანგეთი** და **დანია** არიან. ჩემპიონატის მოგების შემთხვევაში, ყოველი ფრანგი ფეხბურთელი 400 ათას ევროს მიიღებს.

„D“ ჯგუფი: არგენტინა (5; 698); **ისლანდია** (22; 74); **ხორვატეთი** (18; 359); **ნიგერია** (47; 143).

რონალდუს მსგავსად, **ლიონელ მესის** უამრავ ტიტულს შორის არ არის მსოფლიო ჩემპიონის წოდება. ამდენად მის მოწადინებაზე ლაპარაკი ზედმეტია. ჯგუფის ფავორიტებად **არგენტინა** და **ხორვატეთი** ითვლებიან, თუმცა ბუკმეკერები არც **ისლანდიას** იღებენ სათვალავიდან.

„E“ ჯგუფი: ბრაზილია (2; 952); **შვეიცარია** (6; 227); **კოსტა-რიკა** (25; 44); **სერბეთი** (35; 266).

სპეციალისტების გათვლებით, ჩემპიონის ტიტულის მოპოვების ყველაზე მეტი შანსი (16,6) **ბრაზილიას** აქვს და ამ შემთხვევაში, მასმედიის ცნობით, თითოეული მოთამაშე მილიონ დოლარს მიიღებს. მერვედფინალის მეორე საგზურის კანდიდატები არიან **სერბეთი** და **შვეიცარია**, თუმცა ჯაბანი არც **კოსტა-რიკაა**.

„F“ ჯგუფი: გერმანია (1; 1020); **მექსიკა** (15; 161); **შვედეთი** (23; 116); **სამხრეთი კორეა** (61; 88).

ბუკმეკერები დარწმუნებული არიან, რომ **გერმანია** ფინალში ითამაშებს: მას მაღალი კლასის იმდენი ფეხბურთელი ჰყავს, რომ ერთბაშად ორ ნაკრებს ეყოფა(!) მერვედფინალის მეორე პრეტენდენტად **მექსიკას** ასახელებენ.

„G“ ჯგუფი. ბელგია (3; 802); **პანამა** (55; 12); **ტუნისი** (14; 55); **ინგლისი** (13;874);

ჯგუფის უპირობო ფავორიტებად ბუკმეკერები **ბელგიასა** და **ინგლისს** მიიჩნევენ.

„H“ ჯგუფი: პოლონეთი (19; 278); **კოლუმბია** (16; 309); **სენეგალი** (28; 287); **იაპონია** (60; 72).

ამ ჯგუფში, წინა შვიდისგან განსხვავებით, არც ერთი მსოფლიოს ექს-ჩემპიონი არ არის. ფავორიტად **კოლუმბია** ითვლება, №2 კი როგორც ჩანს, მაინც **პოლონეთია**. საგულისხმოა, რომ **იაპონია** ერთადერთი მონაწილეა, რომლის ფედერაციის ხელმძღვანელობამ ნაკრების მწვრთნელის თანამდებობიდან გადაყენება ზედ ჩემპიონატის წინ გარისკა, **სენეგალის** ნაკრების თავკაცი კი უფრო რეპერს ჰგავს, ვიდრე ფეხბურთის სპეციალისტს.

ნინო ალექსანდრია

◎ **რაგბი ჩვენი თამაშია!**

გაისადაც – ელიტაში!

უმცროსმა „ბორჯღალოსნებმა“ იაპონიას ბოლო 10 წუთში ორი ლელო გაუტანეს, გელა აფრასიძემ ერთი გარდასახა და 24:22 გამარჯვებით საქართველომ საგაისოდ ელიტურ 12-ში ადგილი შეინარჩუნა.

იაპონიამ ჩვენთან გადამწყვეტი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამართა და თითქმის ყველა შეცდომით ისარგებლა, მაგრამ უმცროსმა „ბორჯღალოსნებმა“ კონცენტრაცია არ დაკარგეს, კაცნაკლულებმა ორჯერ ლელო გაიტანეს და გაიხარეს.

მე-9 ადგილისთვის მატჩის ნახევარფინალში იაპონიამ გმირულად იბრძოლა და უმეტესი დრო ანგარიშში ლიდერობდა. აზიელებმა ჩვენს დერეფანში დაშვებული შეცდომით ისარგებლეს და მე-8 წუთზე ლელო-გარდასახვით დაწინაურდნენ. პასუხმა არ დააგვიანა. მატჩის განახლებისთანავე ბურთი მოვიპოვეთ, ლუკა ჯაფარიძემ ორჯერ შეძლო უპირატესობის მოპოვება და საპასუხო ლელო გაიტანა, ხოლო გელა აფრასიძემ გარდასახა და ანგარიში გაათანაბრა.

პირველი ტაიმის მეორე ნახევარში დიდი დრო დაცვაში გავატარეთ და იაპონიამ ჯერ ჯარიმა გაიტანა, მერე სინბინით გურამ გოგიჩაშვილი დავკარგეთ და ლელო მივიღეთ – 7:17. ტაიმის მიწურულს უმცროსმა „ბორჯღალოსნებმა“ საპასუხო ლელოს გატანა მოახერხეს. კაცნაკლულ შერკინებაში ბურთის მოგების შემდეგ აფრასიძემ შეუტია, დროული პაუზის შემდეგ დემე თაფლაძეს უპასა და ის ცრუმოძრაობით ბოლო დამცველს გასცდა.

მეორე ტაიმი იაპონელთა კონტრშეტევით და ლელოთი დასრულდა. არაზუსტი გარდასახვა აფრასიძის ჯარიმამ გაათანაბრა, რომელიც ძელმა აისხლიტა. საათის თავზე რეფერემ სანდრო მამამთავრიშვილი გაგვისინბინა და თითქოს იმედიც გადაიწურა, მაგრამ საქართველომ შეძლო სადავეების ხელში აღება, 72-ე წუთზე კარგ მოლს რამდენიმე დარტყმა მოყვა და დემე თაფლაძემ ლელო გაიტანა, ხოლო აფრასიძემ გარდასახა.

78-ე წუთზე თედო აბჟანდაძემ მეტოქეს კარის წინ გაუჭრა ხაზი, იერიში ლუკა გელაშვილმა გააგრძელა, კარის წინიდან აფრასიძემ თავად შეუტია და გამარჯვების ლელო გაიტანა. მართალია გარდასახვა არაზუსტი იყო, მაგრამ მალე საფინალო სასტვენი გაისმა და უმცროსი „ბორჯღალოსნები“ 24:22 მოგებით 17 ივნისს მე-9 ადგილისთვის ბრძოლაში შოტლანდიაზე გავიდნენ.

კობა კობახიძე

◎ **ბოლო აკორდის წინ**

საქართველოს საკალათბურთო ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის მზადება უკვე დაიწყო. იგი თავდაპირველად 18 კალათბურთელით შეიკრიბა, ხოლო ლეგიონერთა ნაწილი – გიორგი შერმადინი, გოგა ბითაძე, თორნიკე შენგელია და მანუჩარ მარკოიშვილი გუნდს მოგვიანებით შეუერთდებიან.

ოფიციალურ მატჩებამდე საქართველო 2 ამხანაგურ შეხვედრას გამართავს – პრაღაში ჩეხეთის ნაკრებს 22 და 23 ივნისს დაუპირისპირდება.

ეროვნულ ნაკრებში რამდენიმე სიახლეა. მაიკლ დიქსონმა გუნდი დატოვა, რომელსაც კონტრაქტი ჯერ კიდევ 2017 წლის სექტემბერში ამოეწურა, მაგრამ აქამდე თამაშობდა ნაკრებში. მას ტადუს მაკფადენი შეცვლის. გარდა ამისა, ეროვნულ გუნდში სამი დებიუტანტია: სანდრო მამუკელაშვილი, 17 წლის რატი ანდრონიკაშვილი და 19 წლის ლუკა ბულაშვილი.

ილიას ზუროსმა პრესკონფერენციაზე განაცხადა:

„ყველაფერ კარგს დასასრული აქვს და დიქსონის მიმართ მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. მას კონტრაქტი ჯერ კიდევ გასულ წელს ამოეწურა, მაგრამ აქამდე დაგვეხმარა, ახლა კი მისი დაყოლიება ვერ მოხერხდა. ამერიკელ კალათბურთელებს, რომლებიც მაღალი დონის ჩემპიონატებში თამაშობენ, არ აინტერესებთ

ილიას ზუროსი:

„საუბარი და მითითება ადვილია, შესრულება - ძნელი“

ევროპული პასპორტი და მხოლოდ ისეთი მოთამაშეები თანხმდებიან, რომლებიც, მაგალითად, ესპანეთის მესამე ლიგაში გამოდიან. დიდი სამუშაო გავწიეთ, რომ დიქსონის შემცვლელი გვეპოვნა და დაგვეთანხმებინა, რადგან ეს ადვილი არაა.

მაკფადენსა და დიქსონს ვერ შევადარებ, რადგან ეს არ იქნება სწორი. ტადუსის დადებითი მხარე ისაა, რომ უბრალოდ კარგი კალათბურთელია. საუბარი და მითითება ადვილია, მაგრამ შესრულება – ძნელი. ჩვენ ერთი გუნდი ვართ, არა მარტო ჩვენ, თქვენ – ჟურნალისტები, გულშემატკივრები და ჩვენ ერთად ვქმნით საქართველოს ეროვნულ ნაკრებს.

გიორგი შერმადინი ნაკრებში იქნება, თორნიკე შენგელია – ჯერ ვერა, რადგან ესპანეთის ჩემპიონატის ფინალში თამაშობს. არა აქვს მნიშვნელობა, ჩეხეთი როგორი გუნდია – ჩვენ ახალგაზრდების გამოცდა გვსურს. მანუჩარ მარკოიშვილიც მოგვიანებით შემოგვიერთდება, ისევე, როგორც შენგელია. ახალი თაობით უნდა შედგეს ეროვნული ნაკრები, რადგან ეს ახალი სისხლია. დასკვნითი შემადგენელობა თამაშამდე დასახელდება. ახლა ამაზე ვერაფერს ვიტყვი – ნაბიჯ-ნაბიჯ გავივლი კონსულტაციებს.

სანაძე და ცინცაძე? – ტრავმებისგან და, ზოგადად, ყველაფრისგან დაზღვეული არ ვართ, თუმცა გვყავს შემცვლელები, თუნდაც მერაბ ბოქოლიშვილი. ეს იმ შემთხვევაში, თუ ტრავმები თავს ისევ იჩენენ, მაგრამ, მჯერა, რომ ასე არ მოხდება და ნაკრებს დაეხმარებიან. აქ მთავარია მათი მონდომება, რადგან ტრავმების შემდეგ მაინც ცდილობენ, რომ გუნდს დაეხმარონ. უნდა გვეამაყებოდეს ნაკრების თითოეული წევრი, რადგან ძალიან გადატვირთული სეზონის შემდეგ ნაკრებში სათამაშოდ ჩამოდიან, მაგალითად შენგელია და შერმადინი“, – განაცხადა ზუროსმა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში 29 ივნისს **სერბეთს,** ხოლო 2 ივლისს **ავსტრიას** უმასპინძლებს. მანამდე კი, როგორც უკვე გითხარით, მოსამზადებელ ეტაპს გაივლის და **ჩეხეთის** ნაკრებთან სტუმრად ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს.

ვიტალი ჯაფარიძე

საქართველო მის ცხოვრებას ვგავს

სულხან-საბა ორბელიანი – 360

მდინარედ კმარა ცრემლი ანკარა,
რაც მგზავრობაში საგამ დაღვარა.
სიმონ ჩიქოვანი



360 წელი სრულდება გამოჩენილი ქართველი საზოგადოებრივ და კულტურულ-ლიტერატურული მოღვაწის, თავისი დროის საუკეთესო მეცნიერის სულხან-საბა ორბელიანის დაბადებიდან. სულხან-საბა, რომელიც ბუმბერაზ მოღვაწედ და იდეალურ ადამიანად ცნეს დასავლეთ ევროპაში, მეტად ტრაგიკული პიროვნება გახლდათ. **„თუ თანამედროვეობა მას სამშობლოში დედინაცვლობას უწევდა და ისე ვერ აფასებდა, როგორც მის ღვაწლსა და დამსახურებას შეშვენოდა, ჩვენ, მისი კულტურული სიმდიდრის შორეულმა მემკვიდრეებმა მაინც, ღირსეულად უნდა აღვნიშნოთ მისი ღვაწლი“,** — წერდა **კორნელი კეკელიძე** დიდი მოღვაწისა და ერის შვილის შესახებ.

ქართველი საზოგადოება მართლაც შესაფერის პატივგებას აპირებს დიდი განმანათლებლის საიუბილეო თარიღის ღირსეულად აღნიშვნისათვის. საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა **„მამულიშვილთა გახსენებამ“,** რომელსაც ბატონი **ბონდო კობაძე** თავკაცობს, ტრადიციისამებრ დიდი ხნით ადრე დაიჭირა თადარიგი, რათა საიუბილეო დღეები ისე ჩატარებულიყო, როგორც დიდი მამულიშვილის ხსოვნას ეკადრება. საზოგადოების თავკაცის ინიციატივითა და ცნობილი ქართველი მეცენატების, ძმების **ავთანდილ** და **დავით ბარათაშვილების** თანადგომითა და დახმარებით 800-გვერდიანი უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული წიგნით წარდგებიან ფონდის მესვეურები საზოგადოების წინაშე. საიუბილეო კრებული „**სულხან-საბა ორბელიანი“** საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით დაისტამბა. **„საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დიდი მოღვაწე, სამშობლოსა და მოყვასის სიყვარულით გულანთებული“,** ასეთი ეპითეტებით მოიხსენიებს პატრიარქი სქიარქიმანდრიტ საბას.

საიუბილეო კრებულში სრულადაა დასტამბული დიდი მოაზროვნის **„სიბრძნე სიცრუისა“** და **„მოგზაურობა ევროპაში“**. კონცეფციის ავტორი გახლავთ ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი **გუბაზ მეგრელიძე**. შეკრებილია აკაკი შანიძის, ალექსანდრე ბარამიძის, კორნელი კეკელიძის, მიხეილ კეკელიძის, ქსენია სიხარულიძისა და სხვა დიდ ქართველ ენათმეცნიერთა შეხედულებები საბა ორბელიანის შემოქმედებასა და მოღვაწეობაზე, იმ დროის საქართველოს პოლიტიკურ ვითარებას ეხებიან ცნობილი ისტორიკოსები, ფილოსოფოსები. კრებულის შემდგენლებს არ დავიწყებიათ არც ქართველი მწერლები და პოეტები, რომელთაც საქებარი სიტყვები არ დაუშურებიათ დიდი საზოგადო მოღვაწის ცხოვრებისეულ საქმიანობაზე. ვრცლადაა მიმოხილული „მოგზაურობა ევროპაში 300 წლის შემდეგ 1716-2016“, რომლის ინიციატორიცა და სულისჩამდგმელიც გახლდათ ცნობილი ქართველი ჟურნალისტი **პაატა ნაცვლიშვილი,** რომელმაც ზუსტად გაიმეორა ის მარშრუტი, რომელიც 300 წლის წინათ დიდმა ქართველმა მოაზროვნემ სულხან-საბა ორბელიანმა“.

კრებული უხვადაა ილუსტრირებული საქართველოს სახელმწიფო ეროვნული არქივის, ტანძიის სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მუზეუმის, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მუზეუმის ფონდებში დაცული ფოტომასალებით. წიგნი მხატვრულად გააფორმა და გარეკანზე განთავსებული შესანიშნავი პორტრეტი შექმნა დამსახურებულმა არქიტექტორმა **გიორგი ავსაჯანაშვილმა.**

„მამულიშვილთა გახსენების“ საქველმოქმედო ფონდი და მისი პრეზიდენტი, ბატონი ბონდო კობაძე მხოლოდ ამ უნიკალური კრებულის გამოცემით არ შემოფარგლულან — 15 ივნისს, თბილისში სულხან-საბა ორბელიანის სკვერში, 3 საათზე დიდი მოაზროვნის ძეგლთან ჩატარდება საიუბილეო ღონისძიება, რომელსაც ქართველი ინტელიგენციისა და საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრებიან, ხოლო შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრი საიუბილეო საღამოს უმასპინძლებს. უნდა აღინიშნოს, რომ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ბატონი რობერტ სტურუა უკვე მერამდენედ სრულიად უსასყიდლოდ უთმობს თეატრის სივრცეს საქველმოქმედო ფონდს, რათა პატივი მიაგონ ღირსეულ მამულიშვილთა ხსოვნას.

სპეციალურად საიუბილეო დღეებისთვის შპს „დუგლაძეების ღვინის კომპანიამ“ (გენდირექტორი ზაალ დუგლაძე) სულხან-საბა ორბელიანის პორტრეტებით გაფორმებული ორიგინალურ ბოთლებში ჩამოასხა 400-400 ბოთლი თეთრი ღვინო „წინანდალი“ და წითელი „მუკუზანი“.

ავთანდილ ბექაური

◎ დედაქალაქი

13 ივნისის ტრაგედიიდან, ახალ ზოოლოგიურ პარკამდე

უკვე ათეული წელია, თბილისის ცენტრიდან ზოოპარკის გადატანის პროექტი იგეგემება. თუმცა, 13 ივნისის სტიქიის შემდეგ ეს პროცესი დაჩქარდა. დათვები, მგლები, ნიამორები და ირმები თბილისის ზღვაზე უკვე გადაიყვანეს. სხვა ცხოველების გადაყვანა კი ეტაპობრივად ვოლიერების აშენების პარალელურად განხორციელდება. საბოლოო ჯამში ზოოლოგიური პარკის პირველი ნაწილი, სავარაუდოდ, წლის ბოლოს დასრულდება. ახალი ზოოპარკი 48 ჰექტარ ფართობს იკავებს.

თბილისის ზოოპარკი მერიის დაქვემდებარებაშია და მისი ბიუჯეტი 3 500 000 ლარამდეა. როგორც თბილისის ზოოპარკის დირექტორი ზურაბ გურიელიძე აცხადებს, თანხა ძველ და ახალ ზოოპარკს თანაბრად ხმარდება.

„ძირითადად სამუშაოები მიმდინარეობს ჩვენი არსებული დაფინანსების ფარგლებში. ზოოპარკი რომ მთლიანად გადავიდეს თბილისის ზღვის ტერიტორიაზე, 40 მლნ ამერიკული დოლარი სჭირდება. ჩვენ ვიყენებთ ბუნებრივ ლანდშაფტებს და ვოლიერის აშენება გაცილებით იაფი ჯდება. თუმცა, არის რთული და ძვირადღირებული ობიექტები, მაგალითად, აკვარიუმი და ღამის ზოოპარკი, რასაც ცალკე დაფინანსება სჭირდება, ამიტომ ზუსტი თარიღის დასახელება, როდის გადავა ზოოპარკი თბილისის ზღვაზე, შეუძლებელია, ყველაფერი ფინანსებზეა დამოკიდებული. იმედი მაქვს, რომ პირველ ნაწილს 2018 წელს გავხსნით“, — აცხადებს ზურაბ გურიელიძე.

ზურაბ გურიელიძე „კომერსანტს“ უყვება, რომ თბილისის ზოოპარკი გრანტების მოპოვებაზეც მუშაობს. სწორედ გერმანიის თანამეგობრობის ფონდის დაფინანსებით აშენდა დათვებისა და ირმების ვოლიერები, ეს პირველი გრანტი იყო, რომელიც თბილისის ზოოპარკმა 2015 წელს მიიღო.

თბილისის ზოოპარკის დირექტორი ამბობს, რომ ამჟამად ახალი ზოოპარკის ტერიტორიაზე ვოლიერები ფოცხვერებისთვის და ჯიხვებისთვის შენდება:

„თბილისის ზოოპარკის დაფინანსებით მიმდინარეობს ვოლიერების მშენებლობები, სადაც კავკასიური ჯიხვები გვეყოლება. გარდა ამისა, ვიწყებთ ეგზოტიკური ფრინველების ვოლიერების მშენებლობას. თითქმის დამთავრების ეტაპზეა ფოცხვერის ვოლიერი. პარალელურად, ვიწყებთ „აფრიკის სავანის“ მშენებლობას, სადაც შესაბამის ცხოველებს ჩამოვიყვანთ, ნაწილს კი ამჟამინდელი ზოოპარკიდან გადმოვიყვანთ. პირველ ეტაპზე ძირითადად იქნება კავკასიური ფაუნა“.

ზოოლოგიური პარკი დამთავალიერებელს უკვე იღებს, თუმცა ტერიტორია ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით კეთილმოწყობილი არ არის. ადგილზე მისულ სტუმარს შესაძლებლობა ექნება, საცხენოსნო კლუბში იჯირითოს. ზურაბ გურიელიძის თქმით, ახალი ზოოპარკი მომხმარებელს განსხვავებული კონცეფციით დახვდება.

„ახალ ზოოპარკში ბავშვებისთვის ატრაქციონი და გასართობი საშუალებები აღარ იქნება. მათ შესაძლებლობა ექნებათ, დაკავდნენ სათავგადასავლო სპორტული აქტივობებით. გერმანიის მთავრობის დახმარებით მომზადებულია ბავშვების სათამაშო შემეცნებითი მოედანი, რომელშიც მათ გარკვეული ბარიერების გადალახვა მოუწევთ“.

2015 წლის 13 ივნისის სტიქიის შედეგად თბილისის ზოოპარკში 300 ცხოველი დაიღუპა. გურიელიძე გვიყვება, რომ დაღუპულ ცხოველებს შორის იყო იშვიათი ჯიშის სახეობები, რომლებიც შესაძლოა, ზოოპარკმა ვერასდროს ვეღარ იყოლიოს. მისი თქმით, ევროპის ზოოპარკების დახმარებით თბილისის ზოოპარკმა კოლექცია შეავსო სხვადასხვა სახეობის ცხოველით, მათ შორის, პრიმატებით (მაიმუნებით), რომლებიც ბავშვებში დიდი პოპულარობით სარგებლობენ.

აღნიშნული ტერიტორია თბილისის ზოოპარკს დედაქალაქის მერიამ გადასცა. მას შემდეგ კი, რაც ზოოპარკის გადატანის პროცესი სრულად დამთავრდება, ამჟამინდელი ზოოპარკის ტერიტორია, ოფიციალური ინფორმაციით, მწვანე ზონად გამოცხადდება.

ბაჩო ადამია

თავდასხმა ნუკრიანში

სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ნუკრიანში მცხოვრებ ამერიკელ ჯეფი ატეფ ეზზატ აზიზს და მის მეუღლეს ამავე სოფელში მცხოვრები მამაკაცი თავს დაესხა.

როგორც დაზარალებულები აღნიშნავენ, მამაკაცს თავიანთი კუთვნილი მაღაზიიდან ღვინის მიცემაზე უარი უთხრეს, რის შემდეგაც თავდამსხმელი მოკვლით დაემუქრა, შემდეგ კი ოჯახის კუთვნილი ავტომანქანა ნაჯახით დააზიანა. მათივე ინფორმაციით, მამაკაცი მკვლელობისთვის არის ნასამართლევი. ისინი დამნაშავის დაკავებას და მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით საქმის გადაკვალიფიცირებას ითხოვენ.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ინფორმაციით, ადგილზე გამოძახებულმა სამართალდამცველებმა მამაკაცი დააკავეს, თუმცა რამდენიმე საათში გაათავისუფლეს, დაზიანებული ავტომანქანა კი ექსპერტიზაზე გადაიყვანეს.

მარათონი – „თბილისი“

ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციის მიზნით, მარათონი „თბილისი“ დაფუძნდება, – ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

„მინდა გაცნობოთ ახალი, ძალიან საინტერესო ინიციატივის შესახებ, რომელიც ქალაქში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასა და მასობრივ სპორტულ აქტივობებში მოქალაქეთა ჩართვას ეხება. ესეც ჩვენთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა, რომ საზოგადოებას ავუხსნათ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ცხოვრების ჯანსაღი წესით ცხოვრება. ვაპირებთ, დავაფუძნოთ მარათონი „თბილისი“, რომელშიც მონაწილეობის მიღება ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია, მათ შორის, რასაკვირველია, სპორტსმენებს – ნებისმიერ ადამიანს, პოლიტიკოსებს, ჟურნალისტებს, ვისაც სურვილი აქვს. მარათონი 24 ივნისს, 09:00 საათზე, ვაკის პარკიდან თავისუფლების მოედნამდე გაიმართება“, – განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერმა საზოგადოებას მოუწოდა, აღნიშნულ აქტივობაში ჩაერთოს და მარათონში მონაწილეობა მიიღოს.

მალე დედაქალაქში ორი ახალი პარკი გაშენდება

დედაქალაქის მერის ინფორმაციით, თბილისის მერია ე.წ. დიღმის ჭალებსა და ე.წ. თემქის ხევში ახალი პარკების გასაშენებლად სპეციალურ კვლევას ჩაატარებს.

„გვინდა, ორი ახალი საქალაქო პარკის მშენებლობა განვახორციელოთ. ამ მიზნით კვლევას ვიწყებთ. კონკრეტულად, ეს არის ე.წ. დიღმის ჭალების ტერიტორია, სადაც ვფიქრობთ, რომ ახალი რეკრეაციული სივრცის შექმნის თვალსაზრისით, ძალიან საინტერესო პროექტი განხორციელდება, მათ შორის, მტკვართან სიახლოვის არსებობის მხრივ. მეორე ტერიტორია კი, ე.წ. თემქის ხევია, რომელიც მოცულობით ძალიან დიდია. მის გარშემო დაახლოებით, 80 000 მოსახლეა, ახლოს არის თბილისის ზღვასთან და საპარკე-სარეკრეაციო სივრცის შექმნის თვალსაზრისით, ძალიან დიდი პოტენციალი აქვს. აღნიშნულ ტერიტორიასთან დაკავშირებით, თბილისის მერია შესაბამისი კვლევის მომზადებაზე მუშაობას იწყებს, მათ შორის, თემქის ხევში მდინარის მონაკვეთის გახსნის პოტენციალის მიმართულებით. მგონია, რომ თემქის ხევი არის ერთ-ერთი საუკეთესო ადგილი, სადაც შეგვიძლია, ეს პროექტი განვახორციელოთ“, – აღნიშნა დედაქალაქის მერმა.

კახა კალაძის ინფორმაციით, ასევე, გლდანში, მეექვსე მიკრორაიონში, დაახლოებით, სამ ჰექტარზე ახალი პარკი მოეწყობა.

კახა კალაძემ მერის მოადგილეს მაია ბითაძეს დაავალა, რომ ქალაქში არსებული 12 დიდი პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტები მომზადდეს.

250 000 დოლარი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის განვითარებისთვის

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და გლობალური კონსერვაციის ფონდს (GC) შორის, საგრანტო ხელშეკრულება გაფორმდა.

ხელშეკრულების თანახმად, ფონდი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მხარდაჭერად 3 წლის განმავლობაში 250 000 დოლარს დახარჯავს.

თანამშრომლობის მიზანია ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნების დაცვა და მართვის ეფექტურობის უზრუნველყოფა. ხელშეკრულება ითვალისწინებს ფინანსურ და ტექნიკურ მხარდაჭერას, რაც გულისხმობს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის შესაბამისი აღჭურვილობით უზრუნველყოფას, რაც ხელს შეუწყობს პარკის ტერიტორიაზე პატრულირების სისტემის გაუმჯობესებას, ბუნებრივი რესურსების უკეთ დაცვასა და ეფექტურ მართვას.

იცით თუ არა, რომ...

● **მასაჩუსეტის** (აშშ) უნივერსიტეტის მეცნიერებმა, რომლებმაც ადამიანისა და ჯიშიანი ძაღლების გენობები შეადარეს, მათ დიდ მსგავსებაზე დაყრდნობით დაადგინეს, რომ ძაღლი... ადამიანის უახლოესი ნათესავია?

● ადამიანის სისხლში არსებული მიკრობების 99 პროცენტი მეცნიერებისთვის დღემდე უცნობია?

● ერთ საჭადრაკო პარტიაში სულ 5949 სვლაა შესაძლებელი, დროით ყველაზე ხანგრძლივი სვლა ბრაზილიელ ფრანცისკო ტროისს ეკუთვნის, რომელმაც 2 საათი და 20 წუთი იფიქრა, ხოლო უნგრელმა მოჭადრაკემ იანოშ ფლეშმა ერთხელ თვალდახუჭულმა ერთდროულად 52 პარტია ითამაშა, რომელთაგან 32 მოიგო?

● ბავშვობის მეგობრობა დადებითად მოქმედებს ადამიანის შემდგომ ცხოვრებაზე და ბედნიერს ხდის მას?

● სიცოცხლე კოსმოსში ნამდვილად არსებობს – მკვლევარებმა დიდი ხანია, მიაგნეს არამიწიერ ბაქტერიებს?

● ქრონიკული დიარეის (კუჭის აშლილობის) მიზეზი შეიძლება იყოს ისეთი სერიოზული დაავადებები, როგორიცაა პანკრეატიტი, ქრონიკული ჰეპატიტი, ნაღვლის ბუშტის სნეულებები, აგრეთვე... დიდი ხნის მანძილზე ანტიბიოტიკების მიღება?

● შეყვარებულობის პერიოდში ორგანიზმში იზრდება ჰორმონ ოქსიტოლინის გამომუშავება, რომელიც ჭრილობების შეხორცებას აჩქარებს და ტკივილგამაყუჩებელი მოქმედება აქვს?

● 100-დან 400 ინგრედიენტამდე აკლია ბავშვის ხელოვნურ საკვებს დედის რძესთან სრულ იდენტიფიკაციამდე, ხოლო მისი ტოლფასი შემცველის შექმნას მეცნიერები ვერაფრით ვერ ახერხებენ?

● ათი წუთის დილის ვარჯიში საკუთარი წონისა და არტერიული წნევის კონტროლის შესაძლებლობას იძლევა, ასევე 11 პროცენტით ამცირებს ონკოლოგიურ დაავადებათა წარმოშობის საფრთხეს?

● ავტომანქანის ყოველდღიური ტარება გონებას ტელევიზორის გამუდმებით ყურებასავით აჩლუნგებს, რაც, პირველ ყოვლისა, თავის ტვინის აქტივობას აქვეითებს?

● ეკვადორის პრეზიდენტმა ლენინ მორენომ „ქამრების მოჭერის“ პოლიტიკის გატარება დაიწყო – აუქციონზე გაატანინა ორიდან ერთი სამთავრობო თვითმფრინავი და საპრეზიდენტო კორტეჟის რამდენიმე ძვირიანი ავტომანქანა?

● ახალშობილის სხეული 86 პროცენტით წყლისგან შედგება, ასაკოვანი კაცისა კი – 50 პროცენტით, თანაც ყველა არსებულ დაავადებათა 85 პროცენტი წყლით გადაიცემა?

სახიფათო შეყოვნებები

ნელი ინტერნეტი გულს ვნებს, – აცხადებენ შვედი მეცნიერები.

მკვლევარებმა მოხალისეებს ვიდეოს ყურება შესთავაზეს, რომელიც ნელა იტვირთებოდა და ნახვის დროს ყოვნდებოდა. ამ დროს კი ექსპერიმენტის მონაწილეებს ენცეფალოგრამასა და კარდიოგრამას უღებდნენ. საბოლოო ანგარიშით აღმოჩნდა, რომ კინოფილმის ატვირთვის დროს შეფერხებების გამო გამოსაცდელებს გულის კუნთის შეკუმშვათა რიცხვი 38 პროცენტით ეზრდებოდა, შეყოვნების გამეორებისას კი სტრესის დონე ორჯერ იწევდა.



მეცნიერთა აზრით, დამუხრუჭებული ვიდეოს ზეგავლენა გულზე დამქანცველი გარბენის ზემოქმედების ტოლფასია.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4569; ევრო - 2.8959;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2895;
100 რუბლი - 3.9125; თურქული ლირა - 0.5372;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4525;
1000 სომხური დრამი - 5.0878.

ამინდი 14 ივნისისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +14, დღე +32
მთიანი რაიონები - ღამე +8, დღე +30
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +18, დღე +36
მთიანი რაიონები - ღამე +11, დღე +34
თბილისი: ღამე +18, დღე +31

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge